ივნისი
1932 წ.
№ 78

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUIN
1932—№ 78

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—ჯანყის უფლება.
უჩინარი—ბოლშევ. სკოლა და კულტ. საქმ—ბა.
ბაქი—რუსეთის რევოლუცია.
მუსულმანური აღორძინება.
«კავკასიის გმირი ხალხის ტრაგედია».
ფთარი—წერილი სპარსეთიდან.
მ.—ანი—მდგომარეობა გერმანიაში.
ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტ.
ყენევა დღესასწაულობს 26 მაისს.
26 მაისი პარიზში, ბერლინში.
ქ-ბ მაგდა მნურატის მოხსენება.
ს. ფირცხალავა—ისტორიული ამბები.

ჯანყის უფლება

მას შემდეგ, რაც რევოლუციონერები გაჩდნენ, და რევოლუციური პარტიები, ჯანყის უფლება ანუ droit de révolte ტირანების წინაამდეგ სამღვთო უფლებად... რას ვამბობთ—მოვალეობად ითვლებოდა. მეორე ინტერნაციონალი და მისი ეგზეკუტივი თითქო ამ კატეგორიის ხალხისგან შესდგებიან და, მიუხედავათ ამისა, ისინი არამც თუ არ სცნობენ ჯანყის უფლებას, სულაც კი აუქმებენ მას!

თქვენ წაიკითხეთ ალბათ ეგზეკუტივის მაისის დადგენილება ციურიხში, რას ვხედავთ იქ? საბჭოთა კავშირის ჩაგრულმა ერებმა არ უნდა ისარგებლონ მოსალოდნელი ომი შორეულ აღმოსავლეთში და, თანახმათ ბერლინის დადგენილებისა, არას გზით არ უნდა აუჯანყდენ ტირანებსო. ბერლინის დადგენილებაში 1930 წ. ეგზეკუტივი არ ეხებოდა ომს, მან აღუკრძალა სოციალისტურ პარტიებს ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა, სანამ საბჭოთა კავშირში დემოკრატია არ გაიმარჯვებსო.

ისმის მთელი რიგი კითხვებისა: როგორ გაიმარჯვებს დემოკრატია, თუ არ იბრძოლე მისთვის? რა არის ჩაგრულ ერისთვის დემოკრატია, თუ არა უცხო უღლისაგან განთავისუფლება? რა რეჟიმია საბჭოთა კავშირში, თუ არა ტირანია?

ეგზეკუტივი სდუმს, რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე; სამაგიეროთ ის სერიოზულათ აცხადებს, რევოლუცია უნდა დავიცვათო! ვანდერველდე, ინტერნაციონალის თავმჯდომარე, ერთ თავის მეთაურში ბრიუსელის «პეპლ»-ში ამბობს: თუ ომი ატყდა, ჩვენ, რასაკვირველია, საბჭოთა მხარეზე ვიქნებით, რადგან «რევოლუცია უნდა ვიხსნათო». რომელ რევოლუციაზეა ლაპარაკი?—იმაზე, ცარიზმი რომ დასცა, თუ იმაზე, ხმელეთის მეექვსედი მონათა უდაბნოდ რომ აქცია?

ეგზეკუტივი ბევრს ლაპარაკობს იმპერიალიზმზე, და «თუ ომი ატყდა», ის ავალებს ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს აიძულონ მთავრობანი, რათა ეკონომიურ-ფინანსიური ბოიკოტი გამოუცხადონ იაპონიას, ხოლო მუშათა ორგანიზაციებმა კი საბოტაჟით უნდა უპასუხონ იაპონიაში გასატან საქონელს, პირველ რიგში—იარაღს. ეხლა ვიკითხოთ, არის თუ არა რამე ეგზეკუტივის დადგენილებაში მოსკოვის იმპერიალიზმზე? არასფერი, ერთი კრინტიც! ვსთქვათ, საქართველო არ მოაგონდა ეგზეკუტივს—შორსაა მოსალოდნელ ომის ასპარეზიდან—, რად დაივიწყა გარე-მონღოლეთი, ის ხომ იქვეა? ვინ აფეთქებს ჩინეთს, ვინ აღვივებს იქ ანარქიას, ვინ აიარაღებს ღენერლებს, ვინ დაესხა მანჯურიას? არის ყველა ამაზე რამე დადგენილებაში? არა და არა!

ჩვენ დავინახეთ, რომ ეგზეკუტივი «რევოლუციის» ხსნისთვის ზრუნავს, შიშობს, ვაი თუ კონტრ-რევოლუციამ, რეაქციამ გაიმარჯვოსო. რომელი კონტრ-რევოლუცია, რომელი რეაქცია შეედრება იმას, რაც საბჭოთა კავშირშია? განა არსებულა ოდესმე ისეთი ჯოჯოხეთი, როგორიც იქაა? განა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება უარესის წარმოდგენა სტალინის რეჟიმის ნაცვლათ? მასლაათი ბონაპარტიზმზე ხომ მარტოოდენ ულაზათო ხუმრობაა.

ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ ეგზეკუტივი ანგარიშს არ უწევს ჩაგრულ ერთა ტანჯვა-ვაებას, რას ეუბნება ის რუსის ერს? ამოუდექი გვერდში შენს მტარვალებს, ქვეყანა დაიცავიო! აი, პატრიოტიზმიც ასეთი უნდა! თითქო არ იცის ეგზეკუტივმა, რომ ხალხი გარბის საზღვრებიდან, არ ეშინია ტყვიის, ოღონთ თავი დააღწიოს «თავის ქვეყანას».

რამდენათ დაშორებული უნდა იყოს ეგზეკუტივი რუსის ხალხის გულისთქმას, მის ზრახვებს, როცა ასეთ რჩევას აძლევს. მან არ იცის ალბათ—ვინც იცის, არ ეუბნება—, რომ რუსის ხალხი სწორეთ ომზე ოცნებობს, მისგან ელის ხსნას! ამიტომ გაურბის მას სტალინი და «მშვიდობიანობას» ებღაუჭება.

ცნობილია, მონად ქცეულ ხალხს არ შეუძლია თავის დაცვა, ეს ეგზეკუტივმაც იცის და ამიტომ მის დადგენილებაში მორცხვათ არის ნათქვამი, საბჭოთა მთავრობამ უნდა აწარმოვოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გაუადვილებს «სოციალისტურ ძალებს რუსის რევოლუციის დაცვასო». თუ «რუსის რევოლუციაზე»-ა ლაპარაკი, ეგზეკუტივს, პირველ რიგში, თვით რუსის ხალხზე უნდა ეზრუნა,—მოსთხოვს ის თუ არა საბჭოთა მთავრობას ხელი აიღოს ტირანიაზე, ტეროზე, ცარცვა-გლეჯაზე? არასფერი ამის მზგავსი, მაშ.როგორ დაიცვას «რევოლუცია»?

ჩვენ ბევრი კითხვითი ნიშანი დავსვით და პასუხს არ მოველით, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი პასუხი ისედაც ცხადია ჩვენთვის. მეორე ინტერნაციონალი ბევრ რამეში არა ჰგავს პირველ ანუ ძველ ინტერნაციონალს, თუმცა პროგრამა და ფრაზეოლოგია თითქმის იგივე დარჩა. ეს აიხსნება, სხვათა შორის, იმითაც, რომ მასში შემავალი სოციალისტური პარტიები ჩვენს დროში დიდ პოლიტიკურ ძალად ქცეულან, იღებენ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ან კიდევ ელიან მიიღონ, ამიტომ პასუხისმგებლობის გრძნობა გაცილებით უფრო დიდი აქვთ დღეს, ვინემ წინეთ. რამდენი ყოფილი მინისტრი, თვით პრემიერიც ესწრება მის კონგრესებს!

მშვიდობიანობისთვის ბრძოლა ინტერნაციონალს თავის უპირველეს ამოცანად დაუსახავს—და ამაში ჩვენი თანაგრძნობა მის მხარეზეა—, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩაგრულმა ერებმა, თვით რუსის ერმა, თუ გინდ ერთი წუთითაც შეაჩერონ ტირანებთან ბრძოლა. ღრმათ შემცდარია ინტერნაციონალი, როცა ფიქრობს, რომ საბჭოთა სამფლობელოში კიდევ დარჩენილა რევოლუციის რამე ნატამალი, ის იცავს ამ შემთხვევაში, მის და უნებლიეთ, არა მარტო რეაქციას—ეს იქნებოდა ნაკლები ბოროტება—, არამედ ისეთ ველურ რეჟიმს, რომლის მზგავსი არ მოსწრებია დაწინაურებულ ქვეყნებს.

კარლ კაუცკის ვერავინ დასწამებს ინტერნაციონალის ორგულობას, რომლის დიდი თეორეტიკოსი იყო და დარჩა, მაგრამ ჯანყის უფლებას ის კატეგორიულათ სცნობს ჩაგრულ, სახელდობრ—ქართველ ერისთვის, აგრეთვე რუსის ერისთვის. სხვა საკითხია, რამდენათ მიზანშეწონილად მიაჩნია ეს მას, არ დავმალავთ—მან იგი მიზანშეუწონლად სცნო საბჭოთა მაშინდელ—ექვსი თუ შვიდი წლის წინ—პირობებში. მაგრამ ჩვენც ხომ არ გვითქვამს ქართველ ერისთვის, გინდა არ გინდა, აჯანყდიო! ეს მხოლოდ ტაქტიკის კითხვაა, დამოკიდებული დროსა და გარემოებაზე.

მაშასადამე, ჯანყის უფლება ტირანების წინააღმდეგ, როგორც რევოლუციური დებულება, ძალაში რჩება. ქართველ ერს, ისე, როგორც მის მეზობელ, საზოგადოთ ყველა ჩაგრულ ერებს ვერავინ წაართმევს ამ უფლებას, და ისარგებლებენ კიდეც ამისათვის შერჩეულ ხელსაყრელ დროს. ნათქვამია, გამარჯვებულთ არავინ დაძრახავსო, და თუ გაიმარჯვენ, თვით ბრძოლის პროცესშიც, ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ არა მარტო კაუცკი, თვით ინტერნაციონალიც მთელის თავის პრესტიჟით ჩაგრულთა მხარეზე იქნება.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რა დიდი გავლენა აქვს და ექნება მომავალში ინტერნაციონალს და მასში შემავალ პარტიებს სათანადო სახელმწიფოს ხელისუფლებაზე, მისი თანაგრძნობა და გამოსარჩლება დაუფასებელია ჩაგრულ ერთათვის.

განა ინტერნაციონალმა არ აღიმაღლა ყველაზე წინ ხმა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ? რამდენი დადგენილება აქვს მას მიღებული საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანის შესახებ? გაიხსენეთ, რათა ღირს მარტო ეგზეკუტივის მიერ ერთ-ერთ მის მანიფესტში ნახმარი ფრაზა: ძველი ინტერნაციონალის დროშაზედ პოლონეთის თავისუფლება ეწერა, ხოლო ახალ ინტერნაციონალის დროშაზედ საქართველოს თავისუფლება სწერია. და ეს იყო სწორეთ აჯანყების მეორე დღეს, ოქტომბერს 1924 წელს!

ცხადია აქედან, ინტერნაციონალში შემავალი ქართული პარტიები და მათი ხელმძღვანელები გაორკეცებული ენერგიით უნდა ეცადონ, რომ ჩვენს გაწამებულ ერს არ მოაკლდეს მისი აქტიური თანაგრძნობა და გამოსარჩლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური სკოლა და კულტურული საქმიანობა

(წერილი საქართველოდან)

3. ინსტიტუტები.

უცვლელ მიზანს უცვლელი მეთოდი მოჰყვება თან. უმაღლეს სასწავლებლებშიაც არას დროს არ ყოფილა ისეთი ქაოსი როგორიც ამ ჟამად არის. წელიწადში რამდენჯერმე იცვლება ინსტიტუტების სახე და შინაარსი, მცირდება სამოსწავლო დრო მაქსიმალურად, რომ ახლო მომავალში დიდი რიცხვები მივიღოთ მაღალი სპეციალისტები. შინაარსით კი ვერრას მივიღებთ 3 წლიანი ინსტიტუტებიდან, რადგან ამ სამი წლიდან წელიწად ნახევარი საწარმოო პრაქტიკისათვის არის გამოყოფილი.

სულ საწარმოო პრაქტიკით ინსტიტუტებში შემდეგი დრო არის დაწესებული: აგრონომიული ინსტიტუტებისათვის სამი წელი, ერთი ამათგანი—ჩაის ინსტიტუტი—გადაიტანეს ოზურგეთში, პედაგოგიური ხასიათის ინსტიტუტებში 3 წელი, ხოლო საინჟენერო ხასიათის ინსტიტუტებში, ზოგან 3 წელი, ზოგან 4 წელი. მაგრამ სამოსწავლო დროს ნახევარი პრაქტიკას უნდება. ცხადია იმის გავლას, რასაც უკეთესად მომზადებული სტუდენტობა უნდებოდა 4 და 5 წელიწადს, წელიწად ნახევარში ან 2 წელში და ისიც ისეთი სუსტი მომზადებული, როგორსაც საშუალო სკოლა აწვდის ინსტიტუტებს,—ვერ შესძლებს იმ უმნიშვნელო დროსაც კი, რომელიც სტუდენტს რჩება. ნოემბრიდან მთელი ტფილისის სტუდენტობა გარეკეს ყარაიაზში და კახეთში ბამბის საკრეფათ. წავიდა ყველა ინსტიტუტი: საექიმო, პედაგოგიური, საინჟინერო და სხვა სახის. სიტყვით დიდ დახმარებას უწევდენ სტუდენტობას, სინამდვილეში კი სიცივეში ხალათის ამარა სტუდენტები გარეკეს ყარაიაზის და შირაქის ველზედ. აკადემიური მუშაობის სიმძიმე გადატანილია ლენინიზმის, ეკონომიურ პოლიტიკის, კომპარტიის ისტორიის და სამხედრო საგნების შესწავლაზე. თუ როგორ აფასებს მეცნიერულ მხარეს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი, ამას ისიც ნათელყოფს, რომ ყოფილ ქართული უნივერსიტეტიდან გაიდევნენ საუკეთესო პროფესორები. აწყო და მომავალიც დიდი ხანია ბოლშევიკებმა დაგმეს, ხოლო ისტორია საქართველოსი არც ერთი ტიპის სკოლაში არ ისწავლება (გამონაკლის შეადგენს ჯერჯერობით პედ. ინსტიტუტის ისტ. დარგი). ახალი მეთოდი—ლაბარატორული სისტემა ულაბარატორიოთ და მთელი ანარქია უმაღლეს სასწავლებლებისა დადებითს მუშაობას შეუძლებლად ხდის.

ამას ემატება ზედ სტუდენტთა აუტანელი ეკონომიური პირობები: სახლიდან არაფერი მოსდით, რადგან ოჯახები უკვე გაცარცულია და პირიქით თხოულობენ დახმარებას, ხოლო უნივერსიტეტი აძლევს უკეთეს შემთხვევაში 75 მანეთიდან 100 მანეთამდე (100 მან. რჩეულთათვის, ხოლო უბრალო მომაკვდავისათვის 45-60 მან.). ამ თანხიდანაც მიაქვთ 20 პროც. მაინც ყოველთვიურად ობლიგაციებში «სოციალისტურ ჩერვონცში» და სხვადასხვა გამოწვევებში. თუ სამუალო გლეხის შვილია, მაშინ ხომ გადასახადით ტყავი ძვრება, ხოლო ე. წ. კულაკის შვილს სულ არ ღებულობენ. მასწავლებლად შერეკილია ამ ინსტიტუტებში სრულიად შემთხვევითი პირები, წითელ პროფესორად მონათლულები: შარია, ვამაყმაძე, მურაჩეიშვილი და სხვა. როცა რომელიმე პროფესორი სწერს მეცნიერულ ნაშრომს, თუ შიგ სტალინურ ხაზს არ ემსახურება, აიძულებენ უარი სთქვას თავის ნაშრომზე. ზოგი პროფესორი მტკიცედ სდგას ჭეშმარიტების საფუძველზე და გაბედულად გადასძახებს აუდიტორიას: «დედამიწა მაინც ბრუნავსო», ზოგი კი ხელებს მაღლა სწევს და ღაღადებს თავის შეცდომებზე და მოუმზადებლობაზე. მაგ. პროფ. შალვა ნუცუბიძემ მისი შრომის გასამართლების შემდეგ განაცხადა: «ჩემი ნაშრომები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და იგი ისტორიის არქივისთვის ჩამიბარებიაო». ახალმა პროფესორმა ტოროშელიძემ იმით დაიძვრინა თავი თავდასხმისაგან, რომ საქვეყნოდ განაცხადა: «შევცდი და არ დამიჯეროთ» (ან კი ვინ დაუჯერებდა შემთხვევით გაპროფესორებულ ტოროშელიძეს). პროფეს. უზნაძე დიდი ხანია მუშაობს საკითხზე: «ბიოსფერიული ფსიქოლოგია». მის მუშაობას აქვს საკმაოდ დადებით მეცნიერული შედეგი. ინკვიზიციამ, რომელიც მას გაუმართეს მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტში, მონათლა იგი ყველა იმ სახელით, რომლითაც იძულებული უნდა გახდეს პროფესორი მუშაობას თავი გაანებოს...

4. სხვადასხვა ტიპის სკოლები.

როგორც ვხედავთ, აღზრდას მიზნად უსახავს ბოლშევიზმი თავისი ბატონობის განმტკიცებას. ძალაუფლების შენარჩუნება კი თხოულობს მას ყავდეს დამცველები და მისი დირექტივების შემსრულებლები. ბავშვები ვერ იზრდებიან ისე ჩქარა როგორც ეს ბოლშევიკებს ესაჭიროებათ და აი ნაჩქარევი სპეციალების მისაღებად ხელისუფლებაა არსებს სხვადასხვა ტიპის სკოლებს თუ კურსებს მოზდილთათვის. მაგალითად ჩაისთვის დასჭირდა აგრონომები ჩაქვში და ოზურგეთში გახსნეს 4 თვიანი კურსები, საიდანაც მივიღეთ ჩაის «აგრონომები». მათი მოვალეობა და მუშაობა უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხებს არ დაეთესათ სადმე სიმინდი და მის მაგივრად ეთესათ ჩაი. ბუღალტერების მოსამზადებლად ჩამოყალიბდა 3 თვიანი კურსები კახეთში, გურიაში. სრულიად დაბალი ცოდნის ხალხს 5 წლის განმავლობაში ამზადებენ უნივერსიტეტში შესასვლელად...

უჩინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის რევოლუცია

II.

როგორც წინა წერილში აღვნიშნე, რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ თებერვლის რევოლუციის პროგრამასა და დემოკრატიას ზურგი შეაქცია და მაქსიმალიზმის, დიქტატურისა და ტეროორის გზას გაყვა. ბევრმა ამის გამო თებერვლის შემდეგი რევოლუციის მთელი პერიოდი რეაქციათ და კონტრ-რევოლუციათ გამოაცხადა. სამოქალაქო ომმა და ბოლშევიკების ტეროორმა რევოლუციას ჩამოაშორა ის იდიალური შარავანდედი, რომლითაც მას თავისუფლებისთვის მებრძოლი ინტელიგენცია მოსავდა და რომელსაც თებერვლის რევოლუცია პირველ დღეებში ატარებდა.

მაგრამ ასე კითხვის დასმა, ტეროორისა და რეპრესიების საზომით რევოლუციის გაზომვა, არ არის სწორი. ასე რომ კითხვას მიუდგეთ, მაშინ გამოვა, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციაში იაკობინელთა ბატონობის პერიოდი და რობესპიერის დიქტატურის ხანა კონტრ-რევოლუცია იყო, არა რევოლუცია. დღეს ამას არავინ ამბობს. ამ საზომით რომ გერმანიის რევოლუცია განვიხილოთ, უეჭველათ შევცდებით მის დაფასებაში და ძნელი გასაგები გახდება,—სად იწყება რევოლუცია და სად—კონტრ-რევოლუცია. გამოვა, რომ ნოსკე კონტრ-რევოლუციონერია, ხოლო კომუნისტი ტელმანი—რევოლუციონერი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ნაციონალ-სოციალისტებს ებრძვის დღეს, ამ საზომით გამოდის რეაქციონერი და კონტრ-რევოლუციონერი, ხოლო ჰიტლერი-რევოლუციონერი.

კომუნისტები და ფაშისტები სადაც თვითონ არ ბატონობენ, სწორეთ ასე აყენებენ იქ საკითხს და ზოგჯერ პოლიტიკურათ გაუწვრთნელი მასსა მართლა შეყავთ შეცდომაში. ბოლშევიკები ჯვარზედ აკრავდენ დროებით მთავრობას იმის გამო, რომ იგი მათ წინააღმდეგ რეპრესიებს ხმარობდა, სიტყვის თავისუფლებას ზღუდავდა. გერმანიაში დღეს რასისტები და კომუნისტები პარლამენტისა და თავისუფლების უკიდურეს დამცველათ გამოდიან, მაგრამ ხვალ კი, რომ ძალაუფლება მათ ჩაუვარდეთ ხელში, პარლამენტსა და ყოველგვარ თავისუფლებას მოსპობენ.

მაშასადამე საქმე რეპრესიებში კი არ არის, საჭიროების დროს მას ყველა ხმარობს, არამედ მასში—რას იცავს და ვის იცავს. დღეს გერმანიის სოც.-დემოკრატია იცავს ვეიმარის კონსტიტუციას, ე. ი. იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც რევოლუციის დროს გერმანიის მუშათა კლასმა და დემოკრატიამ დაამყარა. რევოლუციამ იმპერატორის, მეფეების, იუნკერ-მემამულეებისა და კაპიტალისტ მაგნატების ბატონობა მოსპო და ამის მაგიერ დემოკრატიული წესწყობილება შემოიღო, სადაც მთავარ როლს მუშათა კლასი თამაშობს. სოც.-დემოკრატია ამას იცავს და ცხადია ის ისევ რევოლუციის ნიადაგზე სდგას. მას ზურგს უმაგრებს მუშათა კლასის უმეტესობა და დანარჩენი დემოკრატია. მასთან კონტრ-რევოლუციონური კლასები კი არ არიან, არამედ ისინი, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს. მართალია, ეს კლასები დასუსტდენ, ესენი დღეს თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა.

ვის ებრძვიან ჰიტლერისტეები და რას იცავენ ისინი? ებრძვიან ვეიმარის კონსტიტუციას, ე. ი. იმ კლასებს, რომლებმაც რევოლუციაში გაიმარჯვეს. მათ უნდათ აღადგინონ ამა თუ იმ სახით, მემამულეთა და კაპიტალისტი მაგნატების ძველი ბატონობა. ამიტომ არის, რომ ნაციონალისტების ზურგს უკან სდგანან ყველა ის რეაქციონური და კონტრ-რევოლუციონური ელემენტები, რომლებმაც რევოლუციის გამო ძალაუფლება დაკარგეს. საქმე ამაშია და არა იმაში, რომ ჰიტლერმა ნაციონალიზმის მარკა მიიკრა შუბლზე. როგორც ეს შენიშნა «ფორვერტსმა», მღებავი ჰიტლერი მარშალ ჰინდენბურგს ერის ინტერესების დაცვას ვერ ასწავლის. მე ჩემის მხრით დავუმატებდი—ვერც გერმანიის სოციალდემოკრატიას. ცხადია—ჰიტლერი და მისი მოძრაობა კონტრ-რევოლუციაა. გერმანიის დემოკრატიის შეცდომა მასშია, რომ იგი თავიდან ამ კლასებს რბილათ მოეპყრა, მეტის მეტი «კანონიერება» გამოიჩინა.

რუსეთის რევოლუცია უფრო რთული და დახლართულია. ის, რომ მან უარყო დემოკრატია და დიქტატურის გზით წავიდა, ამან კიდევ უფრო ბურუსში გახვია რევოლუციის მიზანი და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა გარკვევა ძნელი შეიქნა. მაგრამ ეს მარტო რუსეთის რევოლუციის ბედი არ არის. ასეთივე პროცესი განიცადეს ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებმა; მათ დემოკრატიით და თავისუფლებით დაიწყეს და მერმე განვლეს ტეროორისა და პირადი დიქტატურის პერიოდი. როგორც ზევით აღვნიშნე, ამ ნიადაგზე დღეს ჩვენს თვალისწინ ბრძოლა სწარმოებს გერმანიაშიც.

მართალია, ზემო დასახელებულ ქვეყნებში დემოკრატია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და უფრო მეტი უნარი გამოიჩინა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, ვინემ რუსეთში, მაგრამ ეს ერთხელ კიდევ გვეუბნება მას, თუ რა ძნელია პოლიტიკურათ გაუწვრთნელი და კულტურულათ ჩამორჩენილი ერისთვის დემოკრატული წესწყობილების დამყარება. ეს მეოცე საუკუნეში არა სასურველი და საწყენი მოვლენაა, მაგრამ იგი ისტორიული ფაქტია და ჩვენც ამ ფაქტიდან უნდა გამოვიდეთ რუსეთის რევოლუციის დაფასების დროს.

ფაქტი კი გვეუბნება: დიქტატურა სამხედრო კომუნიზმის ხანაში იყო რევოლუციონური. ჩვენ იგი არ მოგვწონს, მაგრამ ამით რუსეთის სინამდვილეს თავზე ვერ გადაახტები. რევოლუციონური კლასები—პროლეტარიატი და გლეხობა სამოქალაქო ომის დროს ებრძოდა კონტრრევოლუციონურ კლასებს, რომელთაც რევოლუციამდის არსებული წესწყობილების აღდგენა სურდათ. თეთრ გვარდიელთა მოძრაობის მიზანი იყო მემამულეთა ბატონობის აღდგენა და თვითპყრობელობის გაცოცხლება. სადაც ბატონობდენ, იქ კიდეც ანხორციელებდენ ამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებმა და გლეხობამ კონტრრევოლუცია დაამარცხეს. შედეგათ მათ მიიღეს: მუშებმა—სამხედრო კომუნიზმი, მაშინ ეს მას აკმაყოფილებდა, გლეხობამ—მიწა. გარდა ამისა ორივე ეს კლასი ამ დროს ძალაუფლების მატარებელი გახდა. ადგილობრივი საბჭოები და საქარხნო კომიტეტები მათ ხელში იყო. მოკლეთ, დაჩაგრული კლასები გახდენ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი. რევოლუციის დანიშნულება ამაში გამოიხატება. გაბატონებულ კლასს ცვლის დაჩაგრული, აი რევოლუციის მთავარი დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა. საფრანგეთის რევოლუციაში თავად აზნაურობა ბურჟუაზიამ შესცვალა, ამიტომ იგი ბურჟუაზულ რევოლუციათ არის ცნობილი ისტორიაში.

რას წარმოადგენს რუსეთის რევოლუცია, რა არის იგი? ამ კითხვაზე ერთი პასუხი არასოდეს არ არსებობდა, იგი ჯერ კიდევ 1905 წ. იწვევდა დავას.

კ. კაუცკი ფიქრობდა, რომ რუსეთის რევოლუცია იქნება საშუალო ბურჟუაზიულსა და სოციალურ რევოლუციას შორის, ანუ დემოკრატიული (იხ. მისი წიგნი «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები»). რუსეთის სოციალდემოკრატები, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები ამტკიცებდენ—რევოლუცია იქნება ბურჟუაზიული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის დამყარებაში მთავარ როლს მუშათა კლასი და გლეხობა ითამაშებსო. პარვუსი და ტროცკი გამონაკლისს შეადგენდენ და ამტკიცებდენ – რუსეთის რევოლუცია იქნება ევროპის სოციალური რევოლუციის წინამორბედიო. რუსეთის ნაროდნიკები-ესერები და სხვები დარწმუნებული იყვენ მასში, რომ რუსეთის გლეხობის გამარჯვება სოციალიზმის განხორციელების ნიშანი იქნებოდა.

დღეს ძველ პოზიციაზე დარჩენ მხოლოდ რუსეთის მენშევიკები და ტროცკი. მენშევიკები დღესაც ამტკიცებენ, რომ რევოლუცია ბურჟუაზულ-კაპიტალისტური წესწყობილების განმტკიცებით დასრულდება (იხ. მათი პლადფორმა და დანის წერილი «სოც. ვესტ.» ამა წლის № 6). ტროცკიც თავის ძველ პოზიციაზე სდგას. ლენინის პარტიამ ტროცკის შეხედულება გაიზიარა, სტალინის პარტიამ—იგი უარყო და ევროპის დამოუკიდებლათ «აშენებს სოციალიზმს». ესერებმა უკან დაიხიეს მენშევიკებისკენ. რუსეთის რეაქციონერები თავის მხრით ამტკიცებენ, რომ ყოველივე ის, რაც საბჭოთა კავშირში მოხდა და ხდება, ნამდვილი სოციალიზმიაო. ამას ისინი ამბობენ პოლიტიკური ანგარიშით, რათა სოციალიზმის პრესტიჟი დასცენ ხალხის თვალში და გარდა ამისა, ისინი ძლიერ მწყრალნი არიან სოციალისტური თეორიების ცოდნაში. ვნახოთ ვინ არის მართალი.

სამხედრო კომუნიზმი სოციალიზმი არ იყო, ეს თვით ლენინმა და მისმა მიმდევრებმა აღიარეს საჯაროთ. ნეპი კიდევ უფრო დაშორებული იყო სოციალიზმიდან. «ჩვენ დავუშვით დიდი შეცდომა, განაცხადა ლენინმა 1921 წ. ოქტომბერში, რომ პირდაპირ დავიწყეთ კომუნისტური წარმოება და განაწილება. ამ ნიადაგზე ჩვენ სასტიკი დამარცხება განვიცადეთ. ამიტომ უმჯობესია, სანამ მოწინაამდეგეს არ გაუნადგურებივართ სავსებით, დავიხიოთ უკან და გარდავქმნათ ყველაფერი ხელახლაო». ეს უკანდახევა იყო ნეპი, ხოლო კომუნიზმის მთავარი მოწინაამდეგე გლეხობა, რომელიც მცხოვრებთა 80 პრ. შეადგენს. ლენინის აზრით, პარტიამ უნდა დაუთმოს გლეხობას, წინაამდეგ შემთხვევაში ის ნდობას დაკარგავს მის თვალში და ყველაფერი დაიღუპება. «ან საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყველა პოლიტიკურ მონაპოვართა დაღუპვა, ანდა მისთვის შესაფერისი ეკონომიური საძირკველის გამონახვაო», სწერდა ლენინი 1921 წ. ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე.

აქედან ცხადია, რომ სამხედრო კომუნიზმი სოციალიზმის კარიკატურა იყო, ხოლო ნეპი—ამ კარიკატურისაგან განთავისუფლება და საბჭოთა კავშირში არსებულ ძალთა განწყობილების შესაფერისი ეკონომიური საძირკველი. ჩემის აზრით, თავიდანვე დიდი შეცდომა იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციას სოციალისტური მარკა მიაკრეს. ბოლშევიკებს ეს საგარეო ხმარებისთვის ესაჭიროებოდათ, ევროპის პროლეტარიატის მოტყვილება სურდათ. რამდენიმეთ მათ მიზანს მიაღწიეს და ამ ტაქტიკას ისინი დღესაც განაგრძობენ და არა მთლათ უშედეგოთ. ეს იყო არა სოციალისტური რევოლუცია, არამედ წვრილი ბურჟუაზული და გლეხური. თვით ის ფაქტი, რომ მუშები კაპიტალისტების ქონებას იყოფენ, ნაძარცვს ძარცვავდენ, გვეუბნება, რომ მუშათა კლასში ამ დროს ძლიერ სუსტი იყო სამრეწველო პროლეტარიატისა და მოწინავე მუშების გავლენა. და ვინ არ იცის, რომ მაშინ მუშათა კლასის უმრავლესობა ახლად მოსული გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიისაგან შესდგებოდა. სამხედრო კომუნიზმის ძარცვა-გლეჯის გათავების შემდეგ ორივე ამ კლასმა მოითხოვა «შესაფერისი ეკონომიური პოლიტიკა». ეს იყო ნეპი. გლეხობა მიწას დაეპატრონა, ხოლო მუშების ერთი ნაწილი ადმინისტრაციაში წავიდა, პროფესიონალური მოხელე გახდა, მეორე ნაწილმა ვაჭრობა დაიწყო, წითელი ვაჭარი შეიქნა; ქარხანაში დარჩა ძლიერ მცირედი ნაწილი.

მსხვილ წარმოებისა და მრეწველობისთვის, რევოლუცია დროებითი უკან დახევა იყო. წვრილმა ბურჟუაზიამ შური იძია მსხვილ წარმოებაზე და გაანადგურა იგი, მაგრამ მერმე წითელი ყელსაბამით თვითონ შეუდგა მის შექმნას. სამაგიეროთ სოფელში მოხდა დიდი რევოლუცია და სოფლის მეურნეობას მალე დაეტყო წინსვლა. ეს იყო «შესაფერისი ეკონომიური საფუძველის» ბუნებრივი განვითარება და წვრილ ბურჟუაზიულ-გლეხური რევოლუციის გამარჯვება!

სტალინსა და მის პარტიას არ უნდა ამ ბუნებრივ ფაქტს შეურიგდეს და ამ ნიადაგზე ებრძვის მუშებს და გლეხობას. დიდი შეცდომა იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხუთწლედი სამხედრო კომუნიზმისა და ნეპის ბუნებრივი გაგრძელებაა. ეს მათი გაგრძელება კი არ არის, არამედ—მათ წინაამდეგ ბრძოლა. პირველ ყოვლისა ხუთწლედმა გლეხობას მიწა წაართვა და ის უფრო ბოგანო გახადა, ვინემ რევოლუციამდის იყო. სამხედრო კომუნიზმის დროს ლენი-

ნის მიერ გამოცემული მიწის დეკრეტი, სტალინმა გააუქმა. გლეხს ხელახლავ უხდება მიწისთვის ბრძოლა და დიდ მსხვერპლსაც იღებს იგი.

ქარხანაში მუშა არავითარ პრივილეგიებს არ სარგებლობს, 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურათ დიდი ხანია მოსპეს და შრომა ყმურ მდგომარეობაში ჩააყენეს. მას დამცველი არავინ ყავს, ბრიგადირები ჟანდრების როლს ასრულებენ, ხოლო პროფკავშირები—ჩეკის კანცელარიის. სტალინის დიქტატურამ ტომსკის პროფკავშირებიც ვერ იგუა.

ამ რიგათ, სტალინმა რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალებს წაართვა ყოველივე ის, რაც მათ ლენინისა და ტროცკის დიქტატურის ხანაში მოიპოვეს. ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რას წარმოადგენს სტალინის დიქტატურა და მისი ხუთწლედი.

ხუთწლედი სახელმწიფო კაპიტალიზმია, რომლის ეკონომიური პოლიტიკა დიდათ არ განსხვავდება პეტრე დიდის ეკონომიურ პოლიტიკისაგან. სტალინი მას აზიური მეთოდით ატარებს ცხოვრებაში და მით იგი ძლიერ წააგავს მოსკოვის მეფეებს. მაგრამ საერთოთ მიღებულია ევროპის რევოლუციებთან შედარება და ამ შემთხვევაში მეც დავემორჩილები ამ ტრადიციას. სრული ანალოგია რასაკვირელია არ შეიძლება.

რუსეთის რევოლუციას თუ საფრანგეთის რევოლუციას შევადარებთ, მივალთ იმ დასკვნამდის, რომ სტალინიზმი რუსეთის რევოლუციაში ბონაპარტიზმია. ნაპოლეონმა პირადი დიქტატურა შემოიღო და საფრანგეთს მართავდა ჯარისა და პოლიციის საშვალებით. მან დათურგნა რევოლუცია, მაგრამ კონტრრევოლუცია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ის არასოდეს არ ყოფილა. მას არ აღუდგენია არც ძველი წყობილება და არც ძველი კლასების ბატონობა. ამასავე სჩადის სტალინი. დღეს ის ერთათ ერთი «ბელადია» და საბჭოთა კავშირს მართავს ჩეკისა და წითელი არმიის საშვალებით.

ეს ფაქტი გაუშვეს მხედველობიდან დანმა და აბრამოვიჩმა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ბონაპარტი აუცილებლათ თეთრ ცხენზე შემჯდარი გენერალი უნდა იყოს. ბონაპარტიზმს გენერლობა კი არ ახასიათებს, არამედ მართვა-გამგეობის სისტემა. რუსეთის მენშევიკები სტალინის ბონაპარტის გამოცხადებას ვერ ხედავენ კიდევ იმიტომ, რომ სტალინს რევოლუციონური წარსული და მარკა აქვს, რომ სტალინი მუშათა კლასთან არის დაკავშირებული. ამ მხრით არც ნაპოლეონს ჭონდა ცუდათ საქმე. რევოლუციის წინაშე მასაც დიდი დამსახურება მიუძღოდა, შეიძლება მეტიც, ვინემ სტალინს. არც რევოლუციონერებს გაურბოდა, ის კონსულობისა და იმპერატორობის დროსაც ცდილობდა მის გარშემო დიდი რევოლუციის მოღვაწენი ყოფილიყვენ. რაც შეეხება მუშათა კლასის დამოკიდებულებას, ამის შესახებ პროფ. ოლარი ამბობს: «პარიზის მუშათა კლასი კონსულ ნაპოლეონში ხედავდა რევოლუციის ბელადს, მხსნელ დიქტატორს, რომელიც ახალ საფრანგეთს ბურბონთა გვარისაგან იცავდაო» (საფ. რევ.» გვ. 930).

ასე რომ, ამ მხრით სტალინზე უკეთ ჭონდა ნაპოლეონს საქმე. და არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ რუსების მუშების მცირედი ნაწილი, უმთავრესათ კი ადმინისტრაციაში ჩაბმულნი, სტალინს დღესაც უჭერენ მხარს. ამან სრულებითაც არ უნდა დაჩრდილოს ის ფაქტი, რომ სტალინი მუშათა კლასსა და გლეხობასთან ბრძოლაში იმყოფება, რომ ხუთწლედი სახელმწიფო კაპიტალიზმია, რომელიც მშრომელ კლასების ინტერესებს ეწინააღმდეგება. რასაკვირელია სტალინი ნაპოლეონსავით იმპერატორის გვირგვინს არ დაიდგამს თავზე, ეს არც საჭირო არის. ეხლა დიქტატურაა უფრო მოდაში, ვინემ მეფე და ნაპოლეონი რომ მუდმივ კონსულათ დარჩენილიყო, განა ამით ბონაპარტიზმის შინაარსი შეიცვლებოდა?! არა.

აი ასე სდგას ჩვენს წინაშე საკითხი დღეს და არა ისე, როგორც ეს შეცდომით ოტო ბაუერმა დააყენა. ბაუერი სტალინის დიქტატურასა და ხუთწლედს მიუდგა არა როგორც სოციოლოგ-პოლიტიკოსი, არამედ როგორც აგრონომი საცდელ მინდორს. ამიტომ მან მხედველობიდან გაუშვა სტალინიზმის როლი რევოლუციაში და შერჩა მარტო შენობები. საბჭოთა კავშირის სოციალისტებმა რომ ბაუერის რჩევა მიიღონ, მაშინ მათ სტალინთან ერთათ მოუხდებათ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს დღეს მემარჯვენე და მემარცხენე კომუნისტ უკლონისტებსაც არ მიაჩნიათ შესაძლებლათ.

კაქი.

ჩეხია, 8 აპრილი, 1932 წ.

მუსულმანური აღორძინება

მე-18 საუკ-ში მუსულმანური ქვეყანა დაეცა უკანასკნელ ხარისხამდე. სარკინოზულმა კულტურამ ადგილი დაუთმო უმცირესობის ბარბაროსულ ფუფუნებას და არა ნაკლებ ბარბაროსულ დაქვეითებას უმრავლესობისას. მეცნიერება გადაგვარდა; მართვა-გამგერობა დესპოტიად გადაიქცა. ზემოდ სულთნები, მათ ქვემოდ ფაშები და ამათ დაბლა ადგილობრივი მეთაურნი,—ყველა ტირანულად ბატონობდა.

ამ იერარქიის ქვეშ მოქცეული ოხრავდა ხალხი, გაძარცული და ყოველნაირად შევიწროებული. თავგამოდებისა და შრომის ხალისი დაჰკარგოდა გლეხსაც და ქალაქის მცხოვრებსაც. სარწმუნოებაც დაეცა და გაიხრწნა.

ამ ბნელ დროს არაბეთის ვრცელ უდაბნოში გაისმა ხმა, რომელიც მოუწოდებდა ერთგულთ ჭეშმარიტ გზისაკენ. ეს იყო აბდ-ელ-ვაჰაბის ხმა, რომელსაც მალე ცეცხლი უნდა მოედო სამუსულმანო ქვეყნისათვის და დაებრუნებინა ისლამისათვის წინანდელი სიცხოველე.

ზემოდ ნაჩვენები იყო, რომ დემოკრატიულ სახალიფოს აღმოსავლეთურ დესპოტიზმად შეცვლის გამო თავისუფალი მოაზრე არაბები თავიანთ უდაბნოში გაიხიზნენ. ხალიფი და სულთანი იქ ვერ მიეკარებოდნენ. არაბები არ სცნობდნენ არავის ბატონობას და უდაბნოში დაცული ჰქონდათ პირვანდელი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური წესწყობილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰამედ-იბნ-აბდ-ელ-ვაababი დაიბადა დაახლოვებით 1700 წ. არაბეთს, ნეჯების პროვინციაში. მან მოიარა მექა, მიიღო სწავლა მედინაში, იმოგზაურა სპარსეთში და ბოლოს დაბრუნდა ნეჯებს. მოგზაურობაში ნანახით განრისხებულმა გადასწყვიტა ისლამის სიწმინდის აღდგენის ქადაგება. მისმა ქადაგებამ არაბეთში მიიმხრო ნეჯების ერთ-ერთ თემის უძლიერესი მეთაური საუდი. ამან დიდი ძალა და გავლენა შემატა აბდ-ელ-ვაჰაბს. ნელ-ნელა უდაბნოს არაბებმა შექმნეს პოლიტიკურ სარწმუნოებრივი ერთეული. აბდ-ელ-ვაჰაბის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა მისმა მოწაფემ საუდმა.

ნეჯების მომაგრების შემდგომ საუდმა უფრო დიდი მიზანი დაისახა მისაღწევად,—მუსულმანურ ქვეყნის გაწმენდა და უპირველეს წმინდა ადგილებისა.

ვაჰაბის მიმდევართ ფანატიკური სიძულვილი ჰქონდათ თურქების, რომელნიც ეზიზღებოდათ, როგორც განდგომილნი და ისლამში იმ პირველობის დამჩემებელნი, რომელიც ყველა არაბების წარმოდგენით მათ ხელში უნდა დარჩენილიყო. საუდი ემზადებოდა უკვე სირიას შესეოდა. იყო წამი, როდესაც ვაჰაბის მიმდევართ უნდა გაენიავებინათ აღმოსავლეთი და ერთის დაკვრით გაეწმინდათ მთელი ისლამი.

მაგრამ ეს არ მოხდა. ოსმალეთის სულთანმა მოუწოდა მეჰმედ-ალის, რომელიც ის-ის იყო ეგვიპტეს დაეპატრონა, და ამან სულ ცოტა ხანში წაართვა ვაჰაბისტებს წმინდა ადგილები და უდაბნოში უკუაქცია. ასე დასრულდა ვაჰაბიზმის პოლიტიკური როლი.

ხოლო სარწმუნოებრივი ეხლა იწყებოდა. ნეჯები დარჩა ის კერა, რომელიც ჰფენდა შუქს ყოვლის მიმართულებით. ამ მოძრაობამ დიდ გასაჭირში ჩაგდო ერთხანს ინგლისელები ინდოეთში და ფანატიკურად განაწყო სამუდამოდ ავღანისტანი.

ამ დრთს იყო, რომ ალჟირიდან მოვიდა მექაში განთქმული სადი-მოჰამედ-ბენ-სენუსი, გაიმსჭვალა აქ ვაჰაბიტურ პრინციპებით და დაარსა დიდი პანისლამური საზოგადოება, რომელიც მის სახელს ატარებს.

ამრიგად ერთის თაობის სიცოცხლის განმავლობაში ვაჰაბიტური მოძრაობა იმდენად გადიდდა, რომ მუსულმანურ აღორძინებად იქცა. ამ აღორძინებამ გაიარა მრავალი ეტაპი, რომელთაგან უმთავრესია პანისლამიზმის სახელით წოდებული მოძრაობა. ეს მოძრაობა განხილულ იქნები შემდეგში, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური მხარე. ეხლა რამდენიმე სიტყვა მუსულმანურ აღორძიაების შესახებ სხვა, განსაკუთრებით, სარწმუნოებრივ და ინტელექტუალურ თვალსაზრისით.

ვაჰაბიტურ მოძრაობის მიზანს შეადგენდა ყურანის გაწმენდა ყველა იმ ზედნაშენობისაგან, რომელიც დაგროვებულიყო საუკუნეთა განმავლობაში,—განმარტებანი, წესები, ცრუმორწმუნოებანი. ყურანის ამ განმარტებას თან ახლდა ისეთი სასტიკი ზნეობრივი სჯულდება, რომელიც ვაჰაბიტების აზროვნების დიდ სივიწროვეს მოწმობს, ამიტომ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს ისლამისათვის, რომ ვაჰაბიტები დაამრცხდნენ პოლიტიკურად.

ისლამის კრიტიკოსები გამოსთქვამენ ვაჰაბიტურ მოძრაობის გამო იმ აზრს, რომ ისლამი ჩამორჩენილი და ბუნებით წინააღმდეგია განვითარებისა. ეს აზრი არ უნდა იყოს მართალი: ყოველი რელიგიური რეფორმა დასაწყისში დამყარებულია პირვანდელ ღვთისმსახურების აღდგენაზე.

ასეთი იყო პროტესტანტულ რეფორმაციის დასაწყისიც.

ისეთი ჰუმანისტები, როგორც ერაზმ როტერდამელია, ვერაფერ კარგს ვერ ხედავდნენ ამ მოძრაობაში და ამბობდნენ, რომ რეფორმაცია ნამდვილ კულტურას ემუქრება და იმის მეტს, რომ პაპის უცოდველობას ბიბლიის უცოდველობად სცვლის, არაფერ სხვას არ აკეთებს.

ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს ისლამი დგას იმ წერტილზე, რომელზედაც იდგა ქრისტიანობა მე-15 საუკუნ. იგივე დამორჩილება გონებისა დოღმატებისათვის, იგივე ბრმა მორჩილება არსებულ წესებისა და ავტორიტეტისა, იგივე იუვენალობა და მტრული განწყობილება აზროვნების თავისუფლებისა და მეცნინრებისადმი. «შარიატი» ანუ სამღვთო კანონი ვერ ურიგდებოდა თანამედროვე ცივილიზაციას და პროგრესს. მაგრამ იგივე არ იყო მე-15 საუკ. დასაწყისში ქრისტიანობა? მაგალითად, შარიატი აკრძალავს ფულის სარგებლით გასესხებას. მაგრამ ქრისტიანული საეკლესიო კანონიც ამასვე შვებოდა და ისე სასტიკად იცავდა ამ წესს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ფულის ვაჭრობა ურიების მონოპოლიას შეადგენდა. ავიღოთ მუსულმანური მტრული განწყობილება აზროვნების თავისუფლებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების წინააღმდეგ. განა ისლამის ისტორიაში მოიძებნება იმ საზიზღარ მაგალითის მსგავსი, რომელსაც იძლევა ქრისტიანობის ისტორია, ამ სამის საუკუნის წინ რომ ინკვიზიციამ წამების მუქარით უარი ათქმევინა დიდ გალილეს მის აღმოჩენაზე, რომ მიწა ტრიალებს მზის გარშემო?

მაჰმადი თაყვანსა სცემდა მეცნიერებას. აი მისი სიტყვები:

«ეძებდეთ ცოდნას აკვანიდგან საფლავამდე»

«ბრძენთა მელანი უძვირფასესია წამებულთა სისხლისა».

«მეცნიერების ერთს სიტყვას მეტი ფასი აქვს ვიდრე ას ლოცვას».

«სიბრძნის ერთი სიტყვა, შეგნებული და გაზიარებული მუსულმან ძმისათვის სჯობია მთელის წლის განმავლობაში თქმულ ლოცვებს».

«წინასწარმეტყველის მემკვიდრენი არიან ბრძენნი».

«ღმერთს არა შეუქმნია რა გონების უკეთესი».

ეს ადგილები, და ასეთი მრავალი სხვა, დიდათ გამოსადეგია ლიბერალ მიმართულებისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ ისლამის გადახალისების მოძრაობა გაიმარჯვებს, რადგან ლიბერალურია და პროგრესის ხელის შემწყობი. სამწუხაროდ ისტორია ხშირად წინააღმდეგს ამტკიცებს. მაგრამ ისტორია იმასაც ამტკიცებს, რომ, როდესაც დრო ხელს უწყობს პროგრესს, რელიგიებიც ლიბერალურ ცვლილებათა შემწეობით ეწყობიან მას, და ადამიანთა არც ერ-

თი საზოგადოება უკან არ წასულა სარწმუნოების წყალობით. იგი შეიძლება შეჩერდეს, ხოლო პროგრესის გრძნობა თუ ძლიერია, სარწმუნოებრივი ზღუდე ძლეულ იქნება,—მას ან გვერდით შემოევლება ანა და წალეკილ იქნება.

შეცვლილი ისლამი ისლამი აღარ იქნება, ამბობს ლორდ კრომერი. რატომ არა? დღევანდელი ქრისტიანობა, უეჭველად, ძლიერ განირჩევა საშუალო საუკუნეთა ქრისტიანობისაგან, და არსებულ ეკლესიათა შორისაც დიდი განსხვავებაა, მაგრამ ეს არ უშლის იმას, რომ არსებობდეს ერთი საქრისტიანო ქვეყნიერობა.

ისლამს ყოველთვის ჰყავდა ლიბერალურად განწყობილი მოაზროვნენი. უბნელეს ეპოქაშიაც ისმოდა აქა-იქ თითო-ოროლა ხმა, რომელიც ღაღადებდა სიბნელის წინააღმდეგ. მე-16 საუკ. განთქმული ელ გარანი სწერდა: «სრულებითაც არ არის შეუძლებელი რომ ღმერთს შენახული ჰქონდეს მომავალ კაცთათვის ისეთი შეგნება, რომელიც არ ჰქონიათ ადამიანთ წარსულში». მე-19 საუკ. მუსულმანურ ქვეყანას ჰყავდა მოაზროვნე ჯგუფი, მართალია, მცირე, რომელიც ფანატიკოს მოლათა ბნელ უმრავლესობის სიძულვილს იწვევდა. ქვეყანა, რომელსაც ყველაზე უფრო დაეტყო ამ ახალ მქადაგებელთა გავლენა, იყო ინდოეთი. იქ მოძრაობის მეთაური იყო ცნობილი ჰიედ-ახმეტ-ხანი. მიუხედავად იმისა, რომ მართლმორწმუნე და კონსერვატორი იყო, ის არ ერიდებოდა ისლამის დაცემის აღიარებას. დასავლეთის აზრების თაყვანისმცემელი ის სწერდა: «ჩვენ უნდა შევისწავლოთ ევროპის სამეცნიერო შრომანი, თუნდაც მუსულმანების მიერ არ იყოს დაწერილი და თუნდაც შიგ ისეთს რამეს ვპოულობდეთ, რაც ეწინააღმდეგება იმას, რასაც ყურანი გვასწავლის. უნდა ვბაძავდეთ ძველ არაბებს, რომელთაც არ ეშინოდათ, რომ პითაგორის შესწავლა შეარყევდა მათ რწმენას».

მუსულმანურ ლიბერალთა ჯგუფი ჩქარა გაიზარდა და ამასთან გამრავლდა რიცხვი გამოჩენილ მწერალთა, რომელნიც მიზნად ისახავდნენ შარიატის სრულს გადახალისებას და ისლამის გათანამედროვებას. აი, როგორ ახასიათებს ამ მიზანს კჰუდაბუქში, გამოჩენილი მწერალი: «არაფერი არ ყოფილა ისე შორს წინასწარმეტყველის აზრისგან, როგორ გონებისათვის ბორკილების დადება ან კიდე ურყევ და უცვლელ კანონების დაწესება თავის მომხრეთათვის. ყურანი არის წიგნი, რომელიც სახელმძღვანელოდ და არა დაბრკოლებად უნდა გამოადგეს ერთგულთ სოციალურ, ზნეობრივ, გონებრივ და კანონიერ განვითარების გზაზე. ეხლანდელი ისლამი თავის იერარქიით, თავის ფანატიზმით, თავის უსაზღვრო უვიცობით და ცრუმორწმუნოებრივ წესებით მაჰმადის ისლამისათვის სირცხვილია... ჩამოაშორეთ ისლამს ღვთისმეტყველება და დარჩება მარტივი სჯულდება, რომლის მთავარი აზრია რწმენა იმისა, რომ ღმერთი ერთია და რომ მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია, დანარჩენი ზედმეტი ბარგია».

ოსმალეთში, ლიბერალური მოძრაობა სათავეში ედგა მართვა-გამგეობას ყირიმის ომის დროიდან, ვიდრე აბდულ-ჰამიდის დესპოტიზმი დამყარდებოდა. მინისტრები რაშიდ-ფაშა და მიდხატ-ფაშა გულწრფელად მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ, რომ ოსმალეთი თანამედროვე სახელმწიფოდ ექციათ. ხოლო აბდულ-ჰამიდმა ვერ ჩაკლა ლიბერალური მოძრაობა, რომელმაც 1908 წ. მოახდინა რევოლუცია, ტახტიდან ჩამოაგდო და ძალაუფლება «ახალგაზდა თურქებს» ჩაუგდო ხელში. ისლამის ნამსხვრევებიც, როგორც რუსეთის თათრებია, გამოფხიზლდნენ.

ლიბერალები, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი, არიან პროგრესისტები, რომელნიც სცდილობენ ისლამის გარდაქმნას, მზად არიან ყოველივე საღი ცვლილება შემოიღონ, მაგრამ ისლამზე ურს არ ამბობენ.

მუსულმანთა შორის სხვა ჯგუფებიცაა, რომელთაც ისეთი გავლენა განიცადეს დასავლეთისა, რომ ლამის გასწყვეტონ კავშირი თავის სარწმუნოებრივ და გონებრივ წარსულთან. ასეთი ხასიათი ემჩნევა უმთავრესად იმ ქვეყნებს, სადაც დიდის ხნიდგინ დამყარებულა ევროპიული ბატონობა,—ინდოეთი, ეგვიპტე და ალჟირი. ძველი მუსულმანური ბრაზი გამქრალა ამათში.

ამ გაგრილებულ მუსულმანთ გვერდით არის კიდე სხვა ჯგუფები, კიდე უფრო განსხვავებული. ამათ შეადგენს ის ახალგაზდობა, რომელთა ტვინი დამუშავებულია ევროპიულ ბოლო დროინდელ აზრებით,—ათეიზმით, სოციალიზმით და ბოლშევიმმით და ყველაფერი იმით, რაც ამას მოსდევს. ახირებულია ოღონდ, რომ ეს რევოლიუციონერები იზიარებენ ისლამის ფანატიკოს-რეაქციონერების სიძულვილს დასავლეთისადმი. თავიანთ თავს ესენი სთვლაან ბნელ მასების ბუნებრივ ხელმძღვანელებად, პოლიტიკურ ხელისუფლების ხელში ჩაგდება სწყურიათ და, რაკი მათ პატივმოყვარეობას დასავლეთის ბატონობა ეღობება წინ, მის წყევლაში არიან. ამიტომ ესენი არიან უკიდურესი ნაციონალისტები და იმავე დროს პანისლამურ რეაქციონურ შეთქმულობათა მონაწილენიც. ბუქში საუცხოოდ ახასიათებს ამ გვარ ახალთაობას: «მე ვიცნობ ერთ ბატონს, მაჰმადიანს. გარეგნულად ისლამის ყველა ბრძანებას ასრულებს და საზოგადოებაში თავის თანამორწმუნეთა დიმცველად გამოდის და მათ მაგიერ ლაპარაკობს, მაგრამ რა რიგ შევძრუწუნდი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ თავის რჯულისა და მის დამყარებელის შესახებ ისეთ აზრებს იზიარებს, რომელიც თვით ვოლტერს შეეზიზღებოდა.

ქვემოდ ჩვენ უფრო ღრმად გავეცნობით ამ ვაჟბატონების საქმიანობას, როდესაც პანისლამიზმზე და ნაციონალიზმზე გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი შევნიშნავთ, რომ მათი მოღვაწეობა ვნებს ისლამის ნამდვილ გადახალისებას და რომ მათი სურვილია, ისარგებლონ ბნელ მასების ქვენა გრძნობები და გააძლიერონ მასში სიძულვილი ყველა იმის მიმართ, რაც დასავლეთიდგან მოდის.

ამრიგად ისლამი მოქცეულია დღეს ორ მომქმედ ძალთა, ნამდვილ ლიბერალთა და შოვინისტ-რეაქციონერთა, შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკასიის გმირი ხალხის ტრაგედია“ *)

დღეს საქართველოს დამოუკიდებ. წლისთავია.

ამოშლილია დღეს ეს ეროვნული დღესასწაული დიპლომატიურ კალენდრიდან — მისი წლის თავი შენახული და დასადგურებულია დაპყრობილ ერის და მის მეგობართა გულში და მახსოვრობაში. დღეს თოთხმეტი წელი გადის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან:

26 მაისი 1918 წელი.

ასეთი ახალგაზდაა დღესასწაული და ისტორიამ კი მას ხაზი გადაუსვა. ეს ჩვენს თვალწინ დატრიალდა. გათამამდა ფრაგმენტი თანამედროვე ტრაგედისა—ერის, რომელმაც 117 წლის შევიწროების და და დევნის შემდეგ დაიბრუნა სახელმწიფოებრივი არსებობა—თავისუფლება. რომ კვლავ იგი სამი წლის შემდეგ დაკარგოდა. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულ რევოლუციით განთავისუფლებული ქართველი ერი თითქოს საუკეთესო მომავლის შემყურე იყო. თვალწარმტაცი, სავსე ბუნებრივი სიმდიდრით კავკასიის მიწაზე, ცოცხალი-მომქმედი ერი გრძნობდა იმედიანათ თავს. 1920 წელში საქართველომ ხელშეკრულება დასდო თავის უდიდეს მეზობელ რუსეთთან. 1921 წელში ანტანტის სახელმწიფოებმა სათანადო პატივისცემით იცვნეს დე იურე საქართველოს მთავრობა. საქართველოს საელჩო მოსკოვის კარზე მოქმედობდა, საბჭოების ტფილისში.

დამოკიდებულება თითქოს გულითადი იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირს შორის. მომენტი დასავლეთ ევროპის გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ საქართველოს ცნობისა საბჭოთა წარმომადგენლისათვის გახდა თითქოს სიხარულის და უგულითადეს სიტყვებში ჩამოსხმულ მილოცვის შემთხვევათ,—მეგობრობის აღთქმათ; იგონებდენ კიდეც წარსულს—მეფის ტირანიის ქვეშ მყოფ ორთავე ხალხის პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის წარმოებას. ეს სიტყვები საქართველოში 1921 წლის იანვარში გაისმოდა—11 თებერვალს კი ღამით ქურდულათ და მუხანათურათ თავს დაესხა საბჭოთა ჯარი საქართველოს სანაპირო ნაწილებს. საზღვართან ქართველების ამოჟლეტის შემდეგ, თავდამსხმელნი გაეშურენ ტფილისისაკენ—საქართველოს სატახტო ქალაქისაკენ, საზღვრიდან ორი დღის სავალზე.

მოულოდნელი შემოჭრა საქართველოში მიღებულ იქნა რაღაც ბანდიტურ თავდასხმათ, გაუგებრობაზე აგებულ ავანტურათ... წარმოუდგენელ რამეთ მიაჩნდა რაინდულ ერს ყოვლად უმიზეზოდ, ომის გამოუცხადებლად, სახელმწიფოს, ტრაქტატებით შეკრულს საქართველოსთან, გაიძვერულათ გადაელახა ყოველგვარი თავისი ვალდებულება და დაპირებანი. რუსეთის წარმომადგენლობა ტფილისში გაიმიჯნა და უარყო კავშირი თავდამსხმელებთან, პასუხისმგებლობა საბჭოთა სომხეთს გადააკისრა. უკანასკნელმაც (სომხეთმა) თავის მხრით უარყო მის გარშემოც გავრცელებული ხმები. მიუხედავათ ყოველივესა მეორე დღეს საბჭოთა ახალმა ნაწილებმა სხვადასხვა მხრით გადალახეს საქართველოს საზღვრები და დაიძრენ სატახტო ქალაქისაკენ.

ტფილისში მოეწყო თავდაცვა, მოწვეულ იქნენ მოხალისენი, შექმნილ იქნა ახალი რეგულიარული ნაწილები თავდაცვისათვის. დაიწყო სამკვდრო სასიცოცხლო გმირული ბრძოლები... ამავე დროს საქართველოს მთავრობა ამაოთ ცდილობდა მოეძებნა საშვალებანი ჯიუტური სიჩუმით შეპყრობილ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც კვლავ თავიდან იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

არ გასულა ორი კვირა, რაც საბჭოთა თავდამსხმელებს შეემატა ახალი მოკავშირე, თურქეთი, რომელმაც დაიწყო შეტევა ბათუმზე. ამ ტრაგიკულ მდგომარეობაში—საქართველოს სარდლობა ტფილისის დატოვების და ბათუმისაკენ უკან დახევის ბრძანებას სცემს. მთელი ქართველი ერი საომრათ ფეხზე დადგა მოღალატე მეზობლის წინააღმდეგ; გაჩაღდა სასოწარკვეთილი ბრძოლები—მტერთა სიჭარბე ხომ გაცილებით დიდი იყო...

18 მარტს 1921 წელს მოხდა დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა, რომელმაც გაისტუმრა მთავრობა საზღვარგარეთ, დასავლეთში, რომ ევროპის ფორუმზე ეძებნა დახმარება და სამართალი.

დაპყრობილ საქართველოს ტერიტორია გაყოფილ იქნა საბჭოებს და ოსმალეთს შორის, რომელმაც საბჭოებთან ადრინდელ დადებულ ხელშეკრულების ძალით მიიღო საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის რამდენიმე პროვინცია დაპყრობილ მხარის.

საჭირო დარჩა ამ სიმხეცის მიჩქმალვა და საბჭოებმაც ინფორმაციაც მიაწოდეს ევროპას, რომ საქართველოში «რევოლიუციამ იფეთქა» ადგილობრივ კომუნისტურ კომიტეტის ხელმძღვანელობით», რომ ქართველმა «მუშებმა და გლეხებმა» დაიკავეს ტფილისი, გააძევეს დემოკრატიული მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება... დაბოლოს კომუნისტების და თვით გამარჯვებულთა მხილებანი შეურყევლათ მოწმობენ, რომ ეს იყო სრულიათ ჩვულებრივი ომი, მზაკვრულათ შემოსეულ საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ წარმოებული.

ასე მოხდა საქართველოს დაპყრობა, ერის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა და მისი ბოლშევიკების სალტეში მომწყვდევა, იმ ბოლშევიკების, რომლებსაც საბჭოებისადმი მტრულათ განწყობილ ქართველ ხალხში არ აღმოაჩნდათ არავითარი დასაყრდნობი პუნქტი. დაიწყო ახალი რიგი დევნისა; გაგრძელება ომით და ოკუპაციით გამოწვეულ ხოცვა ჟლეტისა. თვით სანოვნიკ ბოლშევიკებმა აღიარეს, რომ საბჭოებს არ აღმოაჩნდათ იმდენი მომხრე საქართველოში, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ბოლშევიკურ ხელისუფლების შექმნა.

---

*) ეს წერილი დაიბეჭდა ვარშავის გაზეთ «Expresse Poranny»ს 26 საისის №-ში. მისი ავტორია ერთი რედაქტორთაგანი—იაგიგა კრაკჩინსკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამც თუ პოლიტიკური მოსაზრებანი, ან ტერიტორიალური გაუმაძღრობა ამოძრავებდა სამჭოთა რუსეთის აგრესიული ხელს ვერაგულ თავდასხმით მონობიდან ახლად აღორძინებულ საქართველოს წინააღმდეგ,—საბედისწერო მიმზიდველი აღმოჩნდა აგრეთვე ამ ქვეყნის სიმდიდრე, მისი ნაყოფიერობა და პირველ ყოვლისა—ნავთი.

საქართველოს ტრაღედია გრძელდება. მიტოვებული თავის ამარა ქართველი ერი არ კარგანს იმედს თავისუფალ ხალხთა ოჯახს დაუბრუნდეს და მიტომაც ბრწყინავს დღევანდელი დღე საქართველოს მოქალაქეთა გულში და მეხსიერებაში წლისთავი მათი დამოუკიდებლობის.

იმავე გრძნობებით ინასკვება ევროპის ხალხთა გულითადი სიმპატიები და სურვილები საქართველოს თავისუფლების აღდგენისა, რადგანაც გაგება და შეგრძნობა საქართველოს და ქართველთა სასტიკი ბედისა არის ზოგთათვის გაფრთხილება, სხვათათვის მოგონება საკუთარი ჯერ კიდევ ახლო წარსულში უპედობა-მონობაში ყოფნისა...

წერილი სპარსეთიდან

საბჭოების გავლენა აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში, როგორიც არის ოსმალეთი და სპარსეთი, დღითი დღე იზრდება. ოსმალეთის მხრივ ეს მოვლენა აშკარა ფორმებში იხატება, რაც შეეხება სპარსეთს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ერის სიმპატია ჯერ-ჯეროობით ლტოლვილების მხარესკენაა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა მყარ რასმე წარმოადგენდეს და ვინ იცის, შეიძლება მომავალში ისეთი მდგომარეობა შეიქნეს, როგორც ამას ამჟამად ადგილი აქვს ოსმალეთში. სპარსეთის რეფორმატორის—რიზა შაჰის მიერ გატარებული რეფორმები ითხოვს მაღალ კვალიფიკაციით აღჭურვილ პირებს სხვადასხვა დარგებში, რომლის ნაკლებობას დღეს დღეობით განიცდის სპარსეთი. წინდახედულ რიზა შაჰს გათვალისწინებული აქვს შექმნილი ვითარება და ამის გამო მისივე ინიციატივით იგზავნება ყოველწლიურად ორასამდე ახალგაზდობა ევროპის სხვადასხვა კულტურულ ქვეყნებში ცოდნის მისაღებად. მაგრამ სანამდი ცოდნით აღჭურვილი დაუბრუნდებოდეს თავის სამშობლოს, იმავე რიზა შაჰის მეოხებით არის გათვალისწინებული ლტოლვილების გამოყენება თავის სპეციალობისდა მიხედვით. აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სპარსეთი ასეთ კაცთ-მოყვარეობას უწევს ლტოლვილებს. სამწუხაროთ, სპარსეთის ასეთ მასპინძლობას ზოგიერთნი ბოროტად იყენებენ, ქმნიან რამდენიმე ათეული კაცისაგან შეიარაღებულ რაზმებს და გადიგამოდიან სპარსეთის აზერბეიჯანიდან რუსულ აზერბეიჯანში. ამას მოყვა ის, რომ რუსის სანაპირო ჯარის უფროსმა ბრძანება გასცა: «დადევნებოდენ შეიარაღებულ რაზმს, რომელიც მოევლინა საბჭოთა აზერბეიჯანს სპარსეთიდან და თუ ვინიცობაა შეიარაღებული რაზმი გადავიდოდა სპარსეთის ტერიტორიაზე, საბჭოთა ჯარს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწყვიტა დევნა, მიუხედავად საერთაშორისო უფლების დარღვევისა, რომელიც იქნებოდა გამოწვეული საბჭოთა ჯარის ნეიტრალური ზონის გადალახვით». ეს ბრძანება მართლაც შესრულდა და მაგ. გასულ წელს საზღვართან მდებარე სოფ. კარაბაღის მშვიდი სპარსელი სოფლელები ერთიან ააწიოკეს ბოლშევიკებმა. ბუნებრივად წამოიჭრა საკითხი შექმნილ მდგომარეობის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა. საბჭოთა რუსეთი ითხოვდა: საზღვრიდან 300 კილომეტრით დაშორებულ მანძილზე, სპარსეთს არ უნდა მიეცა გაჩერების უფლება გადმოსულ ლტოლვილებისათვის, თუ სპარსეთს სურდა თავიდან აეცილებია მოსალოდნელი კონფლიქტი. მკითხველისათვის გასაგებია, თუ რა სიძლიერეს წარმოადგენს დღეს დღეობით საბჭოთა რუსეთი სპარსეთისათვის, და იგი იძულებული იყო მიეღო საბჭოთა მოთხოვნილება: ლტოლვილები იქნებიან ადმინისტრატიული წესით გადასახლებული შორს საზღვრიდან, გადმოსვლისას და თუ კიდევ ადგილი ექნა შეიარაღებულ გადასვლას სპარსეთის მხრიდან, სპარსეთი ვალდებულია ახლად გადმოსულები უკანვე დააბრუნოს. გადმოსულები დაუყონებლივ იგზავნებიან ხელშეკრულობის თანახმად სპარსეთის სამხრეთ ნაწილებში, სადაც ჰაერი კავკასიაში მობინადრე ერებისათვის უჩვეულია.

წინად აზერბაიჯანიდან გამოსულს, როგორც აზერბაიჯანელს, ისე სომეხს, ქართველს, რუსს და ებრაელს საშვალება ჰქონდა სპარსეთის აზერბაიჯანში მოწყობის, სადაც ჰაერი თითქმის იგივეა, რაც კავკასიაში. ენა იგივე ოსმალურია, რისი მცოდნენი კავკასიელთა შორის ბევრია და ამის გამო შეეძლოთ შესაფერ თანამდებობაზე მოწყობა. ვიმეორებ ეს უკვე არქივის მასალად იქცა. და ეს გარემოება ეხლა ყველამ მხედველობაში უნდა მიიღოს.

ვისაც ეკონომიური გეოგრაფიის მეცნიერების ცოტად თუ ბევრად წარმოდგენა აქვს, ის დაგვეთანხმება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთს სპარსეთის ეკონომიურ აღორძინებაში. როდესაც კავკასიის კონფედერაცია ფაქტად იქცევა და შეიქნება ერთგვარი ბარიერი რუსეთსა და სპარსეთს შორის, მაშინ რუსეთის ადგილს დაიკავებს კავკასია, და სპარსეთის შორსმჭრეტელი პოლიტიკაც აქეთკენაა მიმართული. მხოლოდ დღეს კი იძულებულია საბჭოთა რუსეთს ანგარიში გაუწიოს. უნდა გვახსოვდეს ესეც: საბჭოებმა უარი განაცხადეს 70 მილიონის მეფის დროის ვალის მიღებაზე და 120 მილიონის ღირებულების გაყვანილი რკინის გზები, ხიდეები, გზატკეცილები და ურმიის ტბაში მყოფი გემები უსასყიდლოთ გადასცეს სპარსეთს.

შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო სიტყვასიტყვით ერთ სპარსელის ნათქვამი, რომლის ხვედრითი წონა საგრძნობ გავლენას წარმოადგენს სპარსეთის ეროვნულ პოლიტიკაში: «რუსები არ უყვარდათ სპარსელებს (აქ ლაპარაკია მეფის დროის რუსეთზე), ინგლისელები კი სძულდათ, რადგანაც ინგლისელები უყურებდნენ სპარსელებს საწველ ფურად და რაც მთავარია, მათი პოლიტიკა სპარსეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორალურ დეპრესიის მატარებელი იყოო». «რუსები კი მხოლოდ სცარცვავდენ»ო. ადვილად მისახვედრია, რომ დღეს სპარსეთი სარგებლობს რუსეთს, რომ წინააამდეგობა გაუწიოს ინგლისის გავლენას...

კერძოდ ქართველების მდგომარეობა სპარსეთში, მეგობრულ ხასიათის მატარებელია. მართალია, საქართველოს არა ერთხელ ჰქონია ომი სპარსეთთან, მაგრამ სპარსელებისაგან ქართველმა ერმა ბევრი რამ კარგიც შეითვისა და ისწავლა. ჩვენი ერი ერთნაირად ეწაფებოდა ბიზანტიის კულტურას და სპარსეთისასაც, რომელსაც დიდი ადგილი ეკავა აღმოსავლეთში. ამ ძველ კულტურულ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ სათავე იმ მეგობრულ განწყობილებისა, რომელსაც დღეს იჩენს სპარსეთი ქართველების მიმართ. ამის საუკეთესო მაგალითს არ წარმოადგენს განა ის, რომ სპარსეთის უდიდესი რეფორმატორი —რიზა შაჰი თავის შვილს ევროპაში მივლინების დროს, სხვა მისთვის საიმედო პირებთან ერთათ ქართველ ჩაგუნავას აყოლებს და მას აბარებს, რომელიც რვა წლის განმავლობაში ტახტის მემკვიდრესთან მსახურობს და მას სწვრთნიდა ყველა სასპორტო დარგებში? განა იმედობის და ერთგულობის ნიშანი არ დაიმსახურა სრულიად ახალგაზდა პოლკოვნიკმა მიქელაძემ, რომელიც სპეციალურად იქნა გამოწვეული თავრიზიდან და თეირანში გადაეცა მეფის პირადი ცხენოსანი ათასეული? შეიძლება სხვა მაგალითების დასახელებაც. გვმართებს შევინარჩუნოთ არსებული მეგობრული განწყობილება.

ოსმალეთის გზა გადმოხვეწილებისათვის თითქმის დახშულად უნდა ჩაითვალოს, რაღგანაც ვისაც საფრანგეთში ან სხვა რომელიმე სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა არ ექნება, ტირანებს უკან უბრუნებენ და მკითხველისათვის ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ტრაღიკული ამბები დატრიალდება საზღვარზე გადაყვანისას. ამ წერილის ავტორს აუარებელი ფაქტი მოეპოვება ამის დასადასტურებლად. როდესაც ოსმალეთი მზად არის. უკან დააბრუნოს ბედისაგან განწირული ლტოლვილი, აქაც მექომაგედ იგივე სპარსეთი გამოდის და საშვალებას იძლევა შემოხიზნვის, როგორც ეს ამ მოკლე ხნის წინეთ ჩაიდინა ჩვენ სამ თანამემამულეს მიმართ. ვიმეორებ, ოსმალეთი ჩვენთვის ამჟამათ ნაკლებად საიმედოა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგს გამონაკლისს. ეროვნულმა მთავრობამ უნდა აწარმოოს დიპლომატიური მოლაპარაკება, სანამ კიდევ დრო არის, რომ ლტოლვილები არ იქნენ გადაცემული ტირანებს დასახვრეტად.

მაგრამ მთავარია: უნდა შევიგნოთ, რომ ერის განთავისუფლება შესაძლებელია იქ მომქმედ ძალების საშ ლებით, ამ რიგად სიმძიმის ცენტრი სწორედ იქ ევს. ვისაც შეუძლია თავის იქ შენახვა, ჩეკის ინკვიზიციის გარეშე, უნდა დარჩეს სამშობლოში. გადმოსვლა უდრის დეზერტირობას. იქ საქართველოში შევინარჩუნოთ ფიზიკური ძალა მოსალოდნელ საჭიროებისათვის...

ოთარი.

მდგომარეობა გერმანიაში

ვაიმრის კოალიციის დამარცხებას პრუსიაში მოჰყვა შესამჩნევი გართულება პოლიტიკურ განწყობილებისა მთელ სახელმწიფოში. როგორც ვიცით, პრუსიის არჩევნებმა შექმნა შემდეგი მდგომარეობა: ნაციონალისტებმა ვერ მიიღეს უმრავლესობა საჭირო მთავრობის შედგენისათვის, მაგრამ მეორე მხრით ისინი (ნაციონალ-სოციალისტები, გერმანელი ნაციონალური პარტია) კომუნისტებთან ერთად ქმნიან უმრავლესობას დემოკრატიულ კონსტიტუციის წინააღმდეგ. და, მიუხედავათ იმისა, რომ პრუსიის მთავრობა (ბრაუნ-სევერინგი) გადადგა თავისი ინიციატივით, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალისტებმა მას კომუნისტების დახმარებით ამის შემდეგ უნდობლობა გამოუცხადეს და დაემუქრენ —თქვენი აღსასრული მოახლოვებულიაო—ეს მთავრობა, როგორც «საქმეთა მწარმოებელი», მაინც განაგრძობს თავის მუშაობას. და ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამდე, სანამ ეს ლანტაგი იარსებებს. ნაციონალისტ- სოციალისტებს იმედი ჰქონდათ კათოლიკური ცენტრის, რომელთან ერთად მათ უმრავლესობა ჰყავთ ლანტაგში. მაგრამ აქ მათ მტკიცე უარი მიიღეს. «იცოდეთ, მიმართა ნაციონალ-სოციალისტებს ცენტრის წარმომადგენელმა ლანტაგში, «პრუსიის პირველი მინისტრის არჩევის ბედი ჩვენს ხელშია. სრულის სიმშვიდით ვუცქერით ჩვენ შექმნილ მდგომარეობას და ვუცდით მეტად დაინტერესებულნი, თუ რას მოუტანენ პრაქტიკულად ნაციონალ-სოციალისტები პრუსიის პარლამენტს. აშკარად უნდა განვაცხადოთ აქ: ეს რამდენიმე წელიწადია ჩვენ ვიმყოფებით პოლიტიკური კვლის ხანაში... ნაციონალ-სოციალისტების პოზიტიური მუშაობის იმედი დაკარგულია»ო. ამიტომ არის, ნაციონალისტები რომ ახლა უკვე პრუსიის ლანტაგის გაშვებას და ახალ არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ახალ ლანტაგში აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ და, როგორც მათ ფრაქციის ლიდერმა ბ. კუბემ განაცხადა, «გერმანელი მუშა ადოლფ ჰიტლერი პრუსიის სახელმწიფოს ნამდვილი ბატონ პატრონი იქნება».— და ამავე იმედით მიიტანეს მათ იერიში გერმანიის ცენტრალურ მთავრობაზე და რაიხსტაგზე. ამისათვის გამოიყენეს ჯარის მეთაურები, რომელნიც მეტად უკმაყოფილო იყვნენ შინაგან და სამხედრო მინისტრ გროენერით. ნაციონალ-სოციალისტების პირველი მტერიც ხომ ის იყო, განსაკუთრებით მათი მილიტარული ორგანიზაციების დახურვის შემდეგ. გენერალ შლაიხერის და სხვათა მუშაობით დაცდით ჯერ გენ. გროენერი და შემდეგ მთელი ბრიუნინგის სამინისტრო იძულებული გახდენ უარი ეთქვათ მუშაობის განგრძობაზე... პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა თანხმობა განაცხადა და ბრიუნინგის მთავრობა გადადგა. რეაქციონურ გერმანიის ლიდერებმა ჰიტლერის მეთაურობით გაიმარჯვეს. მათ სიხარულს საზღვარი აღარ აქვს:—შევანგრიეთ ვაიმარის კონსტიტუციის. ურიების და მარქსისტულ- დემოკრატიის სიმაგრეო. ვის უნდა მთავრობის შედგენა?!. ჰიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერს?!. ცენტრს?!.—ჰკითხულობდა გერმანიის საზოგადოებრივი აზრი. ცენტრმა ბრიუნინგის ასეთნაირად გაძევების და კურსის ასე უცბად და აშკარად შეცვლის შემდეგ მთავრობაში რაიმე მონაწილეობის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ნაციონალ-სოციალისტები არ არიან ამ ჟამად საიმპერიო მთავრობით დაინტერესებული. მათი სურვილი და მისწრაფება ახალი რაიხსტაგია, რომელიც მათ მათივე აზრით პრუსიის შემდეგ უმრავლეობას მისცემს და ხელისუფლებასაც. და ამიტომ ჰიტლერმა მთავრობის შედგენა ეხლა თავის «შუა-კაცებს»—ჯარის მეთაურებს—დაუთმო. და ასე შეიქნაა სამინისტრო, რომელსაც უკვე «გარდამავალს» უწოდებენ და რომელსაც ნაციონალ-სოციალისტების შეწეობა, «ტოლერანცი» აქვს აღთქმული. მთავრობის სათავეში სდგას ფონ-პაპენი, ცენტრის ყოფილი წევრი, რომელმაც მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, როგორც რეაქციონურ გენერლების კანდიტატს, ნაციონალ-სოციალისტებისათვის გზის გამკაფველს და პარტიის დისციპლინის დამრღვევს. სამხედრო მინისტრი და ნამდვილი სულის ჩამდგმელი ამ სამინისტროსი, მთელი ამ საქმის მომწყობი და გამტარებელი, არის გენერალი შლაიხერი. შინაგან საქმეთა მინისტრი ფონ-გაილი, ისე როგორც თვით თავმჯდომარე ფონ-პაპენი, სამხედრო წოდების კაცია. პრეზიდენტ ჰინდენბურგმა დააფიცა ახალი მინისტრები ვაიმარის კონსტიტუციაზე. მეორე დღეს ამ სამინისტრომ დახურა რაიხსტაგი, რომლის წინაშე წარდგომა ვერ გაბედა, რადგან იქ უმრავლესობა არ ეგულებოდა და მიმართა გერმანელ ხალხს დეკლარაციით, რომელშიდაც აშკარა ჰყო მთელი თავისი რეაქციონური სულისკვეთება პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში.

«ომის შემდეგ მომქმედმა მთავრობებმა... გადაიქციეს სახელმწიფო საქველმოქმედო დაწესებულებათ და ამით დაასუსტეს ერის მორალური ძალა,—ამბობს დეკლარაცია და ომს უცხადებს ამ სახელმწიფოს, რომელმაც გერმანელ ერს თავზე კლასთა ბრძოლა, მარქსიზმი, სახელმწიფო სოციალიზმი, პარლამენტარული დემოკრატია, ათეიზმი და კულტურულ ბოლშევიზმი მოახვია. ახალი მთავრობა შესძლებს მეორედ დაბადების ხანა განაცდევინოს გერმანელ ხალხს: ის დაუბრუნებს მას ნამდვილ ქრისტიანულ შეგნებას, სულიერ სიმშვიდეს და ეკონომიურ კეთილდეობას. ეს ახალი მთავრობა თავისი დეკლარაციით გამომხატველია დაუფარავ რეაქციონურ მისწრფებების, რომელნიც ასე ასულდგმულებენ გერმანიის ინდუსტრიის და მიწათმფლობელობის წარმომადგენლებს და რომელიც ჰიტლერმა ნიციონალიზმისა და სოციალიზმის ცნებების დამახინჯებით და ერთი მეორეში არევით ასე მისაღები გახადა ომის შემდეგ ინფლაციით და მეორე ეკონომიური კრიზისით დაზიანებულ წვრილ ბურჟუაზიისათვის.

მას გაჰყვა დეკლასიური ნაწილები მუშა-ხალხისა, უმთავრესად ახალგაზდობა, რომელსაც ფაბრიკა არც კი უნახავს, რადგან ის სკოლის სკამიდან პირდაპირ უმუშევართა არმიაში გადაირიცხა. და ასე, სასოწარკვეთილების ნიადაგზე, შეიქნა მორბობა, უსულო და უიდეალო, რომელიც «მესამე სამეფოს» განხორციელებით ხსნას ჰპირდება გერმანიას და რესპუბლიკას განადგურებას უპირებს.

სახელმწიფო საშინელ საფრთხეშია: ფონ პაპენ-შლაიხერის მთავრობა ჯარზე და ნაციონალ-სოციალისტებზე დაყრდნობილი (მათ მილიტარისტულ ორგანიზაციებს მალე კვლავ ლეგალური არსებობის ულება მიეცემათ), თავს «მაგრად» გრძნობს. რესპუბლიკის სატახტო ქალაქს, და ალბათ სხვა ადგილებსაც, უკვე ემჩნევათ სამხედრო ძალის მეთაურების გავლენა მთავრობაში:— ქუჩებზე ეს ერთი ხანია ხშირი სტუმრებია სამხედრო ავტომობილები ჯარის კაცებით, რომელნიც ეტყობა საპოლიციო ფუნქციების ასრულებისათვის ემზადებიან.

რას მოგვიტანს ახლო მომავალი?!.. ეს კითხვაა, ასე მწარედ რომ აფიქრებს ეხლა აქ ყველას, ვინც ახლო განიცდის ასეთ ტანჯვაში შობილსა და განვითარებულს გერმანიის რესპუბლიკის ბედს. ყველას გულისყური ახალ არჩევნებისაკენ არის მიმართული, — არჩევნებისაკენ, რომელმაც 31 ივლისს, ვაიმარის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მეხუთე რაიხსტაგი უნდა მისცეს გერმანიას. ეხლა დათხოვილი ცენტრალური პარლამენტი არჩეულ იქნა 14 სეკტემბერს 1930 წელს. გავიხსენოთ მისი შემადგენლობა. სოციალდემოკრატებს ჰყავდათ რაიხსტაგში 136 დეპუტატი, ნაციონალ-სოციალისტებს—110, კომუნისტებს—78, ცენტრს—69, გერმანულ ნაციონალურ პარტიას (ჰუგენბერგს) 41, გერმანიის სახალხო პარტიას (შტრეზემანი)—30, სამეურნეო პარტიას—21, კონსერვატორულ პარტიას—21, ბავარიის სახალხო პარტიას—19, სოფლის ხალხის პარტიას—18, სახელმწიფო პარტიას (დემოკ.)—16, სოციალისტური მუშათა პარტიას (როზენფელდ-ზაიდევიცის ჯგუფი, რომელიც სოც. დემოკ. ფრაქციას მოშორდა)—6, ახალგაზდა გერმ. ორდენს (უახლოვდება დემოკრ.) —6, გლეხთა პარტია—5, უპარტიო—1, სულ 577 დეპუტატი. როგორი იქნება ახალი რაიხსტაგის შემადგენლობა? პრუსიის არჩევნები ამ კითხვაზე ერთგვარად უკვე იძლევა პასუხს. ალბათ აქაც, როგორც იქ, საშუალო ბურჟუაზიულ პარტიების და ჯგუფების გათქვეფით განსაკუთრებით ჰიტლერის პარტიაში, ჩამოყალიბდება კიდევ უფრო გარკვევით ხუთი დიდი ორგანიზაციული გაერთიანება: სოციალდემოკრატია, ნაციონალ-სოციალიზმი, ცენტრი, კომუნისტები და გერმანელი ეროვნული პარტია. ძნელი სათქმელია როგორი იქნება რიცხობრივი განწყობილება ამ პარტიათა შორის. ერთი კი არის აშკარა: ნაციონალ-სოციალისტები შედარებით რაიხსტაგის წარსულ არჩევნებთან ხმებს მოიმატებენ და შესამჩნევადაც. თვითონ მათ იმედი აქვთ უმრავლესობის შექმნის და ამას ოლდენბურგის, ანჰალტის და მელენბურგ-შვერინის არჩევნებით ასაბუთებენ. გერმანიის ამ ნაწილების ლანტაგებში ნაც.-სოციალისტებმა მართლაც შესძლეს თავისთვის უმრავლესობის შექმნა,—მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ჩვენ უფრო აგრარულ ნაწილებთან გვაქვს საქმე, სადაც მემარჯვენეთა გავლენა მუდამ დიდი იყო.

ამ არჩევნებში განსაკუთრებულ როლს ითამაშებენ სამხრეთი და დასავლეთი გერმანია, რომელნიც ვერ ურიგდებიან ნაციონალ-სოციალისტების ანტიკათოლიციზმს. ვერ ავუვლით გვერდს იმ მოვლენასაც, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წასულ არჩევნებში ბევრ ადგილას (ჰამბურგი, ბერლინი, თვით ოლდენბურგში) ხმები შესამჩნევად მოიმატა. ეს ორი უკანასკნელი მომენტი იძლევა იმედს, რომ ცენტრისა და სოციალდემოკრატიის შანსები მომავალ არჩევნებში ცუდათ არ გამოიყურებიან. თვით მასების ფსიქოლოგიური განწყობილებაც, განსაკუთრებით ქალაქებში, ფონ პაპენის მთავრობის შედგენის შემდეგ, თითქმის იცვლება. «რკინის ფრონტი» შესამჩნევად იზრდება დ კავშირი შემადგენელ ნაწილთა შორის მტკიცდება.

ვერ არის იმედების მომცემი მომავალი არჩევნები კომუნისტების და გერმანულ ეროვნულ პარტიისათვის, რომელნიც ნაციონალ-სოციალისტებისათვის ნამდვილ რეზევრს წარმოადგენენ. ბრძოლა სწარმოებს და იწარმოებს ნაციონალ-სოციალისტებსა (—ერთი მხრით) და სოციალდემოკრატია —ცენტრს (მეორე მხრით) შორის. 31 ივლისი გერმანიის რესპუბლიკის ბედის გადამწყვეტია.

მ.—ანი.

პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი აუწყებს მეგობართა და ნაცნობთ, რომ ამა წლის ივლისის 10 კვირას ნაშუადღევის 4 ნახ. ს. სოფ. ლევილის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი მისი დაუვიწყარი მეუღლის

ნინო თაყაიშვილის

სულის მოსახსენებლად.

მატარებ. პორტ ორლეანიდან გამოდის 2.30.

ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში

პროფესორ ექ თაყაიშვილის ბრიუსელში ყოფნის დროს აღძრულა საკითხი ქართული ენის კათედრის დაარსების შესახებ აღმოსავლეთის ფილოლოგიის და ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც გახსნილია ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ლიტერატურის ფაკულტეტთან. აქ შემდგარა კომიტეტი წარჩინებული მეცნიერების და გამოჩენილი პირებისაგან, რომელნიც ცდილობენ, შეაგროვონ საკმაო თანხა ამ საქმისათვის, რათა ლექციების კითხვა დაიწყოს მომავალი შემოდგომიდან. ამ კომიტეტის თავმჯდომარეა ბრიუსელის უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სმეტსი, თავმჯდომარის ამხანაგი ჰენრიხ გრეგუარი, ცნობილი ბიზანტოლოგი, ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი; ქართველთაგან დიდის ენერგიით მუშაობს მარკოზ ტუღუში, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი ბრიუსელის უნივერსიტეტისა, რომელიც არის მდივანი და ხაზინადარი ამ კომიტეტისა; აგრეთვე მონაწილეობას იღებს ინჟინერი დ. ბერეკაშვილი.

პროფესორის ადგილზე კანდიდატათ დასახელებულია პროფესორი მიხ. წერეთელი, რომელიც ასსირიოლოგიის ლექციებსაც წაიკითხავს ბრიუსელის უნივერსიტეტში. კომიტეტს უკვე გამოუცია მოწოდება თანხის შეგროვებისათვის და იმედოვნებს ქართველი საზოგადოებაც მონაწილეობას მიიღებს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში.

სომხური ენის კათედრა უკვე გახსნილია ამ ინსტიტუტში და პროფესორად მოწვეულია ნიკ. ადონცი. ნახევარ ხარჯებს, ოცი ათას ბელგიულ ფრანკს, კისრულობს სომხების საზოგადოება და ნახევარს კისრულობს თვით ინსტიტუტი.

მოგვყავს ქვემოთ სია კომიტეტის წევრებისა და თარგმანი მოწოდებისა ამავე კომიტეტისა.

მოწოდება: ქვემორე ხელის მომწერნი წევრნი კომიტეტისა საქართველოს შესწავლის ცენტრის შესაქმნელად მივაქცევთ თქვენს ყურადღებას, თუ რამდენად სასარგებლოა ისტორიკოსებისა, ეთნოლოგებისა და ფილოლოგებისათვის შესწავლა საქართველოს მდიდარი მწერლობისა, საშუალო საუკუნოების ხელოვნებისა და ისტორიისა, რომელიც არის დამატება და შევსება ბიზანტიის, სპარსეთის, მუსულმანთა და სლავთა ქვეყნების კულტურის, და რაიც უსამართლოდ უყურადღებოდ იყო მიტოვებული დღემდის ბელგიისა და უცხოეთის სხვა უნივერსიტეტების მიერ. ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ლიტერატურის ფაკულტეტთან აღმოსავლეთის ფილოლოგიის და ისტორიის ინსტიტუტის ამას წინანდელი დაარსება შემთხვევას გვაძლევს ამ ნაკლის შესავსებად. ქართულ ისტორიას და ფილოლოგიას მიკუთვნებული აქვს ადგილი სომხეთის შესწავლის სემინარის გვერდით. ერი, რომელიც დღეს უფრო ცხოველია, ვიდრე როდისმე, და რომელსაც ბელგიის მიმართ ღრმა სიმპატიები აქვს, მიიღებს საქართველოს შესწავლის ცენტრის მოწყობას ბრიუსელში როგორც მისი ათასწლოვან კულტურის პატივისცემის ნიშანს. შედარებით დიდი თანხა არ დასჭირდება, რომ 1932-33 აკადემიურ წელში მოეწყოს ბრიუსელის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტში კონფერანსები საქართველოსა და ქართული ენის და ისტორიისათვის. მოგმართავთ მოწოდებით კეთილშობილური დახმარებისათვის ამ თანხის შესადგენად.

თავმჯდომარე გიორგი სმეტსი რექტორი ბრიუსელის უნივ., მისი ამხანაგი ჰანრი გრეგუარი, პროფ. ბრიუს. უნივ. წევრები: ქ-ნი ტარდიე-გომბერტ, საპატიო ბიბლიოთეკარი ბრიუს. თავ. უნივერ., ლუი დე-ბრუკერი, სენატორი, პროფეს. ბრიუს. თავ. უნ., ალბერ ფრანსუა, სენატორი, კამილ ჰიუსმანსი, დეპუტატი, ყ. მინისტრი, მანფრედ კრიდლ, პროფეს., ისიდორ ლევი, პროფ., ერნესტ მაჰემ, ყ. მინისტრი, სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დოქ. ნელფ, ყ. მინისტრი, ფრანს ვან-კალკენ, პროფესორი ბრიუს. თავ. უნივ. და მარკოზ ტუღუში, პოლიტიკ. მეცნიერებათა დოქტორი.

ჟენევა დღესასწაულობს 26 მაისს

ამ დიადი დღის აღსანიშნავად ჟენევის უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა, ცნობილმა პროფესორმა ვერნერმა, რომელიც საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის პირველი ვიცეთავმჯდომარეა და რომელიც თავმჯდომარე ბალშის საზღვარ გარეთ ყოფნის დროს მისი მოადგილეა, გამართა თავის კოპწია ვილაში მშვენიერი მიღებასაღამო ხსენებულ კომიტეტის წევრთა და ჟენევაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლისა. საღამოზე მიწვეულ იქნა აგრეთვე ლოზანაში მცხოვრები ქ ნი ხერხეულიძისა თავისი ახალგაზდა ქალით თამარით.

საღამოს დაესწრენ თითქმის ყველა ჩვენი მეგობრები: გამოჩენილი პროფესორები როგორიც არიან ბერნარ ბუვიე, ედგარ მილო, ეჟ. პიტარი, ედუარდ კლაპარედი და სხ., მწერლები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები. იყვენ აგრეთვე მთავრობის პირნიც. საღამომ მშვენიერად ჩაიარა გუნდ-გუნდათ საქართველოზე გატაცებულ მუსაიფში, რომელიც მხოლოდ ორჯერ იქნა შეწყვეტილი საერთო ყურადღებით, რომელიც გამოიწვია საღამოს შესაფერ წარმოთქმულ სიტყვებმა და გასართობ სამუსიკო ნაწილმა. ქ-მა კერნერმა საუცხოოთ დაუკრა როიალი, მისმა ასულმა და სხვა ახალგაზდებმა ჯერ ფრანგულათ, შემდეგ იტალიანურათ მშვენივრათ იმღერეს. უნდა აღინიშნოს მადლობით ისიც, რომ ქ-მა ხერხეულიძისა მიუხედავათ დაღლილობისა, ლოზანიდან სპეციალურათ მოვიდა და თავისი დარბაისლობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და ეშხით ეს საღამო დაამშვენა.

მისალმებისას ფრიად გრძნობიერი და ღრმა აზროვანი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოზე მასპინძელმა ვერნერმა, სადაც განმარტა დიდი მნიშვნელობა და ძალა 26 მაისის დღესასწაულისა, რამდენიმეჯერ თავმჯდომარე ყორდანია განსაკუთრებული სიმხურვალით ახსენა, უსურვა მას ხანგრძლივი ცხოვრება და საქართველოს ახლო მომავალში განთავისუფლება. ხ. შავიშვილმა საპასუხო სიტყვაში ქართველი ერის სახელით მადლობა გამოუცხადა ყველა მეგობრებს განსაკუთრებით კი მასპინძელს და მიუთითა ზოგ ფაქტორებზე, რომლებიც ვერნერის მიერ გამოთქმულ კეთილ სურვილებს უეჭველათ სინამდვილეთ გადააქცევენ. დაბოლოს საპატიო თავმჯდომა[illegible]ან მარტენმა მჭერმეტყველური, გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც გაათავა წინადადებით გაეგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ნოე ყორდანიას ამ დიდი დღესასწაულის შესაფერი მიმართვა. რაც დამსწრეთაგან ერთსულოვან აღტაცებით იქნა მიღებული. აი ეს მიმართვა:

ბატონო თავმჯდომარევ!

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსაგონარ დღეს—იმ დამოუკიდებლობისა, რომელიც ფეხითაა გათელილი, წინაამდეგ აღთქმისა. უცხოელ ჯართა ურდოების მიერ, მაგრამ რომელიც კვლავ აღსდგება ახალი სიბრწყინვალით, განსაცდელთა მძიმე წლების შემდეგ, საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი შეკრებილი ქ-ნ ხერხეულიძეთა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელის ბ. შავიშვილის თანადასწრებით, გიცხადებთ თქვენ თავის ღრმა პატივისცემას და გამოსთქვამს თავის ურყევ რწმენას ქართველი ერის მომავლისათვის.

თქვენ იბრძვით უფლებისათვის, თქვენ ბ. თავმჯდომარეთვ. თქვენი ამხანაგები მთავრობაში და ყველა თქვენი თანამემამულენი, რომლებიც ენდობიან თქვენს სიბრძნეს, პოლიტიკურ გამოცდილებას და მხურვალე მამულიშვილობას. თქვენ იბრძვით უფლებისათვის და მალე იქნება თუ გვიან, გაიმარჯვებთ და გაიხარებთ, რათა ნახავთ ერს, რომელს შესწირეთ თქვენი სიცოცხლე, აღდგენილს, დამოუკიდებელს და თავისუფალს.

გთხოვთ, რათა კეთილ ინებოთ და გადასცეთ საქარ. მთავრობის წევრებს ჩვენი გულითადი პატივისცემის გრძნობები.

---

26 მაისი პარიზში

26 მაისი ორნაირათ იქნა წელს გადახდილი პარიზში. ნაშუადღევის 4-დან 7 საათამდე მიღება ჰქონდა საქართველოს ელჩს და მიღებაზედ დაესწრენ როგორც ქართველები, ისე უცხოელნი. ქართველთა შორის იყვნენ მთავრობის წევრები თავმჯდომარის მეთაურობით, პარტიათა წარმომადგენელნი, კოლონიის გამგეობა, აგრეთვე საქველმოქმედო და კულტურულ დაწესებულებათა მეთაურნი. უცხოელთა შორის იყვნენ მეზობელ რესპუბლიკების, უკრაინის და თურქესტანის წარმომადგენელნი; ბოლომათ დაესწრენ ფრანგები, აგრეთვე ელჩები დიპლომატიურ კორპუსიდან. მთელი ეს რჩეული საზოგადოება მეგობრული და ინტიმური მუსაიფით ერთობოდა და გამასპინძლებით ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

საღამოს 9 საათზე გაიმართა ქართველთა საზეიმო კრება კოლონიის თავმჯდომარის ბ. გიორგი ჟურულის მეთაურობით. სანამ 26 მაის შეეხებოდა, ბ. ჟურულმა გრძნობიერი სიტყვით მიმართა ფეხზე მდგომ კრებას საფრანგეთის პრეზიდენტის პოლ დუმერის ვერაგ მკვლელობის გამო და აღნიშნა როგორც გარდაცვლილის დიდი ღვაწლი, ისე ქართველთა ღრმა მწუხარება და თანაგრძნობა დიდ ფრანგ ერისადმი. გლოვის ნიშნათ სხდომა შეწყვეტილ იქნა რამდენსამე წუთით.

სხდომის განახლებისას კრების თავმჯდომარემ ბ. ჟურულმა მხურვალე სიტყვა წარმოთქვა 26 მაისის გამო, სადაც დაასურათხატა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა, მისი გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და იმედი ამ ბრძოლის დაგვირგვინებისა. მან მოუწოდა პოლიტიკურ ემიგრაციას ერთსულოვნებისაკენ. შემდეგ ძლიერ მოხდენილი მოხსენება წაიკითხა ბ. შალვა ამირეჯიბმა სათაურით «ქართულ კულტურისთვის», რამაც საზოგადოება მეტათ დაინტერესა. ქართულმა გუნდმა რამდენჯერმე იმღერა ქართული ეროვნული ჰიმნი.

---

26 მაისი ბერლინში

26 მაისი ტრადიციული ხალისით გადაიხადა ბერლინის ქართველ კოლონიამ.

საზეიმო კრებას კავკასიელ მეზობელთა გარდა დაესწრენ გერმანელები, თურქესტანელები, უკრაინელები.

კრებას თავმჯდომარეობდა ქარ. კოლონიის თავმჯდომარე ბ. ს. გეგელაშვილი, რომელმაც დღის შესაფერი სიტყვით მიმართა კრებას და ქართველებს ერთობისაკენ მოუწოდა.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოზე გააკეთა გერმანულ ენაზე მ. წულუკიძემ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: უკრაინელმა, აზერბეიჯანელმა და თურქესტანელმა.

იყო დეპეშები და წერილობითი მისალმებებიც.

ქართველები ხარბინში

ხარბინში გამოდის პოლონური გაზეთი «Listky Harbinskie», რომელიც ხშირად ათავსებს წერილებს და ცნობებს ქართველების შესახებ. სხვათა შორის მაისის 15 დაიბეჭდა ექიმ ჯიშკარიანის საინტერესო წერილი «საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული».

ქართული მოხსენება რადიოთი

გიორგი ნაკაშიძემ აპრილის 26 ვარშავის მთავარ რადიოს შემწეობით გადასცა ყველა ქვეყნებს ქართულ ენაზე მოხსენება «საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მე-19 საუკ. ქართულ მწერლობაში».

ქ-ბ მაგდა მიურატის მოხსენება

23 მაისს France-Orient-ის საზეიმო დარბაზში ქ-ბ მაგდა მიურატმა წაიკითხა მოხსენება სათაურით: «ოქროს ვერძის ქვეყანაში». ეს მოხსენება რამდენისამე წლის წინეთ უკვე წაიკითხა მან გეოგრაფიულ საზოგადოებაში და როგორც მაშინ, ეხლაც მრავალრიცხოვანი მსმენელნი ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ. ახალგაზდა, წარმტაცი სახის მანდილოსანი, მშვენიერი დიქცია, პოეტური შიხაარსი, პოლიტიკური ტენდენცია—ყველა ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. მოხსენებას თან სდევდა სურათები ეკრანზე საქართველოს ბუნებიდან, ხუროთმოძღვრებიდან, მეურნეობიდან, ტიპებიდან.

ქ-ბ მაგდა მიურატისა თავმჯდომარის ამხანაგია «საქართველოს ფრაგ მეგობართა საზოგადოებისა» და დიდის თანაგრძნობით ეკიდება ყოველგვარ ქართულ საქმეს. სწორეთ მისი თაოსნობით უნდა გამართულიყო დიდი საქველმოქმედო ბალი, მაგრამ იგი გადაიდო შემოდგომამდე პოლ დუმერის ტრაღიკული სიკვდილის გამო.

ისტორიული ამბები

ბაგრატ მეოთხის სიკვდილი (1072 წ.)

ნაჭარმაგევში დიდი მწუხარება იყო. გარე უბნად დაბანაკებული სპანი ჩვეულებრივ არ მხიარულობდენ და სიმღერით და სახიობით არ გაერთობოდენ. ვარანგთა რაზმიც*) დუმილს მოეცვა. სამეფო ტაძრის (სასახლის) წინ მრავალ ერს მოეყარა თავი, ყველა კარებისკენ გაიცქირებოდა და მოუთმენლათ მოელოდა რაიმე ახალი ამბის გაგებას.

კვდებოდა ბაგრატ მეოთხე, აფხაზთა და ქართველთა მეფე. სამშვილდეში მდგომს მუცლის სალმობა დაეცა, გაუძნელდა ფრიად და ტახტით წარმოიყვანეს ქართლს და დაებინავეს ნაჭარმაგევის სასახლეში. დარბაზში ავადმყოფის სარეცელთან მთელი მისი სახლეული შეკრებილიყო—აქ იყვნენ მემკვიდრე გიორგი, დედა დედოფალი მარიამ, ასული სომეხთა მეფის სენექერიმისა, ცოლი ბორენა, და ოვსთა მეფის დურღულელისა, ასული მარიამი, ერისთავნი და ყოველნი დიდებულნი. ლოგინის მარჯვნით იდგნენ ვაზირთა უპირველესი მწიგნობართ უხუცესი და სპასალარი, სპათა უმფროსი. მოშორებით კუთხეში ეზოს მოძღვარი მდაბალი ხმით ლოცვანს ჰკითხულობდა, ხოლო სარკმელთან მწიგნობარს მუხლებზე გადაშლილი ეტრატი ედვა და ხელში კალამი ეჭირა, რომ ჩაეწერა, თუ მეფე რისმე ბრძანებას ინებებდა.

სდუმდნენ ყველანი—არავითარი იმედი იყო მეფის მორჩენის—, დამწუხრებულნი დასტკეროდნენ მომაკვდავს და სულ განაბულნი ყურს უგდებდნენ მის მისუსტებულს სუნთქვას.

სდუმდა თვით ავადმყოფიც და ყველაზე უკეთ ჰგრძნობდა, რომ ეს დღე იყო უკანასკნელი მისი ორმოცდათექვსმეტი წლის სიცოცხლისა!

სდუმდა და იგონებდა გარდასრულს:

რაოდენ მწარე და თან ტკბილი იყო მისი, განვლილ წელთა უგრძესი, ცხოვრება-მოუსვენარი, მუდამ მტრებთან ბრძოლაში გატარებული, საქართველოს აღმატებისათვის! ჯერ კიდევ ჩჩვილი ბავში იყო, სამი-ოთხი წლის, რომ კეისარმა ვასილმა მძევლად წაიყვანა კონსტანტინეპოლს, რომ გაეტეხა წინაამდეგობა ბაგრატის მამის. რა ცხარე ცრემლებით სტიროდა და მაგრად ეკვროდა დედას გულში!..

რამდენსამე წელს დარჩა უცხო ქვეყანას და როდესაც მამა გარდაიცვალა, მეცხრე წელიწადი უსრულდებოდა მხოლოდ. ვით შეეძლო მას პატრონობა, და განუდგნენ ერისთავნი, მოირთეს ბერძენნი და იწყეს რღვევა ქართლისა...

დედოფალი მარიამ დაუზავდა საბერძნეთს და სთხოვა კეისარს მოყვრობა და ძმის წული ელენე ბაგრატისათვის. ხოლო ელენე გარდაიცვალა მალე და ბაგრატმა შეირთო მეორე ცოლი, დედოფალი ბორენა. უკვე მომწიფებული მეფე შეუდგა ბრძოლას ერისთავების წინაამდეგ, რომელნიც მეფობის დაუძლურებას და ქვეყნის დანაწილებას ცთილობდენ.

*) ბაგრატს 3000 ვარანგი-ნორმანი ყავდა თავის ჯარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უძლიერესი ლიპარიტ ორბელიანი იყო, კაცი ორგული; საქართველოს მტრებს ემხრობოდა და მათი მეგობრობით უნდოდა ტახტის წაქცევა. ანაკოფიიდან ბაგრატის ძმა დემეტრე გადმოიყვანა და მეფედ გამოაცხადა. ერთხელ ძლეულმა ბაგრატის მიერ, მეორედ მოიწვია საბერძნეთიდან გაქცეული დემეტრე და ბერძენთა და სომეხთა დახმარებით ბრძოლა განაახლა.

შეეშინდა ბაგრატს ქვეყნისა განხეთქილებისათვის და წარვიდა ლიპარიტთან მორიგების სათხოვნელად, ხოლო ლიპარიტმა არ მოისურვა მეფის ნახვა, და გამარჯვებულმა აფხაზეთში გააქცია...

ლიპარიტი ვერ გასტეხა სელჩუკების ტყვეობაში ყოფნამაც, რომელთაც ის დაამარცხეს, საბერძნეთს რომ ეხმარებოდა. ხოროსანიდან დაბრუნებულმა კვლავ აამხედრა ქართლის ერისთავნი, კახეთი, მოირთო ბერძნები და სომხები და მეორედ აიძულა ბაგრატი დაეტოვებინა ქართლი და იქ მისი შვილი აკურთხა მეფედ...

აუტანელი გახდა ლიპარტის მძლავრობა, ბაგრატის ერთგულმა სულა კალმახელმა და მესხებმა შეიპყრეს და შებორკილი შვილითურთ მიგვარეს მეფეს. დიდებულნი მოითხოვდენ მის სიკვდილს, ხოლო ლიპარიტ ითხოვდა შებრალებას და მეფემაც შეიწყალა, და წარვიდა კონსტანტინეპოლს და იქ გარდაიცვალა მონაზონობაში.

«მაინც შეუნდე, უფალო, მას შეცოდებანი მისნი—ღმერთს შეევედრა ბაგრატი თავის გულში: რამეთუ უფროს ყოველთა დიდად იღვაწა საღმრთოთა წიგნთა გადაწერისათვის და მორწყეს ეკლესიანი წიგნთა მისთა».

«და განა უდიდესი ბრალი მისი იყო?—ფიქრობდა მეფე: მთავარი შემცოდენი კეისარნი არიან, რომელნიც თავის უგნურებითა აქეზებდენ მას და ამაგრებდენ თავის სპითა. ბრმანი და ცრუმსაჯველნი! აგარიანთა წარიღეს მათი ქვეყანანი და დღესაც მათი სრული მოსპობისათვის განმზადებულან, და ამის მაგიერ, რომ სარკინოზთ შეებრძოლონ და თანა შეიწიონ ჩვენი ძალიც, ჩვენ გვემუქრებიან—ერთმორწმუნეთ, ჩვენი დანგრევა და დაუძლურება სწადიათ!..

«დავმოყვრდით კიდეც—მე ცოლად მყავდა ბერძენთა დედოფალი და ჩემი ასული მართა დღეს კეისრის მიხაილის ცოლია. მაგრამ საბერძნეთი ისევ ძველი გზით ვალს. შინაც განუწყვეტელი შფოთი აქვთ, სასახლე სისხლითაა მორწყული, მეფე მეფეზე იცვლება და მე უკვე მეთორმეტე კეისარს მოვესწარი. არ რას ხედავს კოსტანტინეპოლი და მოუვლენს მას ღმერთი რისხვას საშინელს, ვით მოუვლინა სალომბა, უცნაური ჩემს მბრძოლს კეისარს კოსტანტინეს, და მე დავიბრუნე ბერძენთა წაღებული ციხენი.

«დიდდება აწ სამეფო ჩვენი და მცირდება საბერძნეთი და აღარავის უნდა მისი კუროპალატობა, არცა ნობილისიმოსობა, არც სევასტოსობა. მეფე აფხაზთა და ქართველთა მეფეა და პატრონი აღმოსავლეთის, თვითაა კეისარი»...

აქ ბაგრატი შეფიქრიანდა: თვალწინ წარმოუდგა თურქთა სელჩუკიანთა სულთანი არპ-ასლანი და მისი საშინელი შემოსევანი.

«ხალიფასანი ძლეულნი არიან, ეს თურქები ვინღა გაჩნდნენ? ხვარაზმიდან წამოვიდნენო, ხატაეთი დაუპყრიათ, დიდი ინდოეთი, ხალიფა გადაუგდიათ და ეკვეთნენ ბერძენთ. მოაწიეს ჩვენ სამეფომდე, შემუსრეს ახალქალაქი და წითლად შეღებეს მდინარე... მეორედ შემოვიდნენ, მოარბიეს ქართლი და მოსწყვიტეს ურიცხვნი ქრისტეანენი. მკაცრმა ზამთარმა გასწყვიტა, ვინც კი გადაურჩა მტერს. ვერა გასძლო სულთანმაც, წარვიდა, ხოლო ითხოვა ხარკი და მისცა ტფილისი განძის ამირას ფალდონს. იწყო ამან ბრძოლა, და წარვგზავნე სპანი ჩემნი და გიორგი, აიღეს და აოხრეს განძა და მრავლითა ალაფითა და ნატყვენავით დაბრუნდნენ გამარჯვებულნი და თანა მოიყვანეს ფალდონ შეპყრობილი.

«დავიმორჩილე და შემოვიერთე კახეთიც და მეგობარი გახდა ჩემი სულთანიც და მოავლინებს ძღვენთა და მოციქულთა და არის აწ ჩვენს შორის სიტყვა სიყვარული».

გაიხსენა ბაგრატმა ყველა თანამოღვაწე, რომლებიც მასთან იყვნენ მარად მეფობის განმტკიცებისა და ქვეყნის დასაცავად. გაიხსენა ის ბრძენნიც კაცნი სწავლულნი და ფილოსოფოსნი, რომელთაც წესიერება დაამყარეს და განანათლეს ერი ჩვენი, და განსაკუთრებით ცხოვლად დაეხატა წინ გიორგი მთაწმინდელი, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყნისა, დიდი მნათობი ჩვენისა ნათესავის...

მაგრამ მოგონებათა ძაფი ერთბაშად გაწყდა. ავადმყოფმა დიდი დაუძლურება იგრძნო. სიკვდილი თანდათან უახლოვდებოდა მის გულს.

ცოტა ხნის შემდეგ თვალი მიმოავლო მის გარშემო შემოკრებილთ, თითქოს უნდოდა უკანასკნელად გამოთხოვებოდა თავის თანამგზავრთ—ყველანი გამოცდილნი ყავდა, ერთგულნი იყვნენ. იმედი და რწმენა გაუმაგრდა მომავლის: «საქართველო იქნება მთელი და ძლიერი, ოღონდ იყოს ერთად და მთლიანად».

ამ დროს მღვდლის ლოცვის სიტყვები შემოესმა, ოდნავად ხელი ასწია და მწიგნობართ უხუცესს სთხოვა: «არა ჩემთვის, არა ჩემთვის, ილოცეთ საქართველოს საზღვრების სიმტკიცისათვის, მთავართა დაწყნარებისათვის, მტერთა უკუქცევისათვის».

შეხედა შვილს გიორგის—არა ჰქონდა შიში მისი გონიერების და მკლავის, შეხედა ცოლს ბორენას დაუმადლა მდუმარედ და ღრმად ჩააცქერდა დედას და მისმა გამშრალმა ტანმა ჰპოვა ორი ცრემლი, რომელიც მოადგა თვალებს, და ჰრქვა მილეული ხმით:

«დედაო, მეწყალვი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინ და ეგრეთღა შენ მოკვდები».

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

მალე ეკლესიის ზარებმა აუწყეს ყველას, რომ ბაგრატ მეოთხე ამ ქვეყნად აღარ იყო. საღამოს სწრფმსრბოლნი წარვიდნენ ყოვლისა კუთხისაკენ ახალის მეფის გიორგის ბრძანებით, ხოლო საგანგებო მანდატურები გაგზავნილ იქნენ ჯყონდიდს, რათა მოემზადებიათ იქ საფლავი მიცვალებულისთვის, თანახმად მისი ანდერძისა.

ს. ფირცხალავა.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.